ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

СССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 51 (18593) ოთხშაბათი, 2 მარტი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ნაყოფიერების ენერგია

ვლავ გამოცოცხლდნენ ქვეყნის სამხრეთის ველები. ჩრდილოეთ კავკასიის, უკრაინის, მოლდავეთის, შუა აზიის და ამიერკავკასიის რესპუბლიკების ვრცელ ყანებში გავიდნენ პირველი აგრეგატები. მექანიზატორები ამზადებენ ნიადაგს, სასუქები შეაქვთ საშემოდგომო ნათესებში, თესავენ საგაზაფხულო კულტურებს.

იწყებენ რა მინდვრის სამუშაოებს, სოფლის მშრომელები, აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივები ცდილობენ აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა, თავიანთ მეცადინეობას ახმარენ იმ ერთ-ერთი მთავარი ამოცანის გადაწყვეტას, რომელიც დასახეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისისა და ნოემბრის პლენუმებმა, — სასურსათო პროგრამის წარმატებით შესრულებას. მათ კარგად იციან, რომ ყანის სიუხვე ბევრად არის დამოკიდებული სახნავის ნაყოფიერებაზე, თესვის ვადებსა და ხარისხზე, და ამიტომ ცდილობენ, რომ თესლი კარგად დამუშავებულ და განოყიერებულ ნიადაგში შეიტანონ.

ყოველწლიურად უხვად შეაქვთ ყანებში მასაზრდოებელი ნივთიერებები პოლტავის ოლქის კარლოვკის რაიონის კოლმეურნეობა „დრუჟბაში“ მიწათმოქმედებს. აქ შექმნილია მექანიზებული რაზმი. მისმა კოლექტივმა გამოიყენა შრომის ორგანიზაციის უგანწესო სისტემა და მაღალ შედეგებს მიაღწია: ზარშან საშუალოდ ჰექტარზე მოიწიეს 38 ცენტნერი მარცვლეული, 300 ცენტნერზე მეტი ჭარხალი, ერთნაირად შეამცირეს თავთავიანი და ტექნიკური კულტურების მოყვანის შრომითი დანახარჯები. მოხავლიანობის მყარ ზრდას აღწევენ მიწათმოქმედების კულტურის გაუმჯობესების გზით თათრეთის სსრ სახელოთა მეურნეობა „გიგანტში“, ტულის ოლქის კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნში“, ბეჟა სხვა მეურნეობაში.

იმ მოწინავეთა გამოცდილება, რომლებიც წარმოებას უძღვებიან მიწათმოქმედების შეცნიერულად დამუშავებული ზონალური სისტემების საფუძველზე, ეფექტიანად იყენებენ მინერალურ და ორგანულ სასუქებს, ღრმად უნდა გავაანალიზოთ, შეკრებილი და ფართოდ დავნერგოთ. მას შეუძლია უდიდესი სარგებლობა მოუტანოს ყველა მეურნეობას. რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების სახელოების ერთ-ერთი გადაუდებელი საზრუნავია განაზოგადონ ასეთი გამოცდილება, დაეხმარონ მიწათმოქმედებს მის პრაქტიკულ ათვისებაში. ახლა მათ კარგი შესაძლებლობანი აქვთ იმისათვის, რომ უკეთ გაუწონ კოორდინაცია კოლმეურნეობებისა და სახელოთა მეურნეობების, „სოფლქიმიის“ და „სოფლტექნიკის“ გაერთიანებათა მეცადინეობას, რომლებიც წინათ განცალკევებულად და ზოგჯერ შეუთანხმებლად მოქმედებდნენ.

„პრავდაში“ მოღებული წერილები მოწმობს, რომ ჯერ კიდევ ბევრია ისეთი მეურნეობა, სადაც სახუქები არ იძლევა სასურველ შედეგებს, სადაც მოუსავლიანობის დროს ყველაზე ხშირად იმიზეზებენ არასელსაყრელ ამინდის პირობებს, ნიადაგში მასაზრდოებელ ნივთიერებათა მცირე შემცველობას, მინერალური სასუქების ნაკლებობას. ვერ უარვყოფთ იმას, რომ სახუქების მიწოდების საქმე ყველგან ვერ არის რიგზე. მაგალითად, „საკოფლქიმიის“ ხელმძღვანელთა მხრივ ჯეროვანი კონტროლის უქონლობამ მინერალური სასუქებით უზრუნველყოფაში სიჯერელე გამოიწვია. ვოქვთ, ბელორუსიის, ლიტვისა და ლატვიის მეურნეობებმა ზარშან მინერალური სასუქები გეგმაზე მეტი მიიღეს, სხვა რესპუბლიკებმა კი ნაკლები. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა გამოასწოროს ეს ხარვეზი, ქიმიზაციის სამსახურმა კი მაღლწიოს, რომ სახუქები შეჰქონდეთ აგროქიმიური რუკების მიხედვით, ყოველი მინდვრის ნაყოფიერების, მასაზრდოებელ ნივთიერებებზე კულტურების მოთხოვნილების გათვალისწინებით.

ბევრ რაიონში კვლავ დიდი რაოდენობით იკარგება და ფუჭდება ნაყოფიერების გრანულები, ირღვევა ნიადაგში მათი შეტანის ვადები და წესები. ერთ-ერთი მიზეზია ქიმიზაციის სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. „სოფლქიმიის“ გაერთიანებათა მექანიზებული საწყობები ძალზე ნელა შენდება. ზარშან, მაგალითად, მათი მშენებლობის გეგმა რუსეთის სფს რესპუბლიკაში მხოლოდ 64 პროცენტით შესრულდა, ყაზახეთში კი უფრო ნაკლებად. ხშირად საცავების აგებას აჭიანურებენ: როსტოვის, პერმის, კურგანის ოლქებში მათ ოთხ-ხუთ წელს აშენებენ. უფრო მკაცრი კონტროლი უნდა დაუწესდეს ქიმიზაციის სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

ქიმიური ინდუსტრიის ყველა საწარმო როდი ასრულებს ზუსტად სოფლისათვის მინერალური სასუქების მიწოდების შეკვეთებს. მიწათმოქმედების წინაშე კვლავ ვალში აღმოჩნდნენ ალმალიკის ქიმიური ქარხანის, ბერეზნიკის აზოტ-მინერალური სასუქების, მთელი რიგი სხვა ქარხნების კოლექტივები. ხშირად ქიმიკოსებს აღალატებენ რკინიგზელებიც, რომლებიც ირღვევენ ვაგონების მიწოდების გრაფიკებს. პირველად როდი აღმოჩნდა რთულ სიტუაციაში საწარმო გაერთიანება „ურალკალიუმი“. წლის დამდეგიდან მას დაკლეს თითქმის სამი ათასი ვაგონი, რის გამოც საწყობებში დაგროვდა ათიათასობით ტონა მზა პროდუქცია. ასობით ვაგონი დროულად არ გაიგზავნა საწარმოო გაერთიანებების დასაბარებლად მოედნებზე ჩერკასში, გროდნოში, ნოვგოროდში, „ბელორუსკალიუმში“, „კუიბიშევაზოტში“, „ტოლიატაზოტში“. როდისღა ამირებენ რკინიგზელები მიაწოდონ მინერალური სასუქები მიწათმოქმედებს? ტყუილად კი არ ამბობენ ხალხში, კოკნი ხადილისთვისაო.

ბევრი რაიონის მინდვრებში უკვე შრომობენ სასოფლო-სამეურნეო ავიაციის მფრინავები. მათ სასუქები შეაქვთ საშემოდგომო კულტურების ნათესებში, მაგრამ მათ მუშაობაში ბევრი დაბრკოლება იქმნება. „სიძნელე ის არის, — აუწყებს „პრავდას“ ჩერკასის ავიასაწარმოს ინჟინერი ვ. იაშჩენკო, — რომ „სოფლქიმია“ არ გვიდებს ხელშეკრულებებს, ჩვენ კი ვიცით რა ფართობზე უნდა შევიტანოთ მინერალური სასუქები. სწორედ ამიტომ ბევრ დროს ვკარგავთ ათასნაირ მოლაპარაკებაზე, ეკიპაჟები კი ცდებიან. რაღომ არ ცდილობენ სოფლის მეურნეობისა და სამოკალაქო ავიაციის სამინისტროები უფრო მჭიდრო გახადონ ავიატორებისა და „სოფლქიმიის“ მუშაკების ურთიერთმოქმედება?“.

ПРАВДА

1 მარტის მოწინავე

ხუთწლედი: წელი მესამე

რიგმეული შრომით

საწარმოო გაერთიანება „თბილისკონდიტერის“ კოლექტივი ფართოდ იღვწის მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, აქ ერთსულოვნად დაუპირეს მხარი თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის ინიციატივას დისციპლინის თაობაზე.

იანვრის სახელმწიფო გეგმის აქ 45 ათასი მანეთით გადააჭარბეს, კარგი შედეგები აქვთ თებერვალშიც, ორი დეკადის შედეგების მიხედვით მომმხარებელს 31 ათასი მანეთის ზეგეგმითი საკონდიტრო ნაწარმი გაეგზავნა.

გაერთიანებაში დიდი ყურადღება ექცევა ახალი პროდუქციის ათვისებას. როგორც გაერთიანების მთავარმა ინჟინერმა ვ. ცაგარეიშვილმა გვითხრა, აქ დაიწყეს გამოშვება ახალი მოკოლადებისა — „დასპირტული ყურძენი შოკოლადში“, „შავი ქლიავი შოკოლადში“, და სხვ. („კომუნისტის“ კორ.).

შევიდ, უკეთესიდ

თბილისის ქარხანა „ელექტროაპარატის“ კოლექტივმა გააორკეცა ავტომატური ამომრთველების, სხვა პროდუქციის გამოშვება საწარმოო ფართობის გაუდიდებლად. ეს საწარმოს რეკონსტრუქციის შედეგია. აქ წარმატებით აითვისეს ახალი ავტომატური და ნახევრად ავტომატური ხაზების, სხვა მოწყობილობის სიმძლავრეები, რომლებიც თბილისელებს გამოუგზავნეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩარხმშენებლებმა. მაგალითად, გალვანური ავტომატი წინამორბედზე ორჯერ უფრო მწარმოებლურია.

„ელექტროაპარატის“ პროდუქცია ჩვენი ქვეყნის მრავალი მისამართით იგზავნება, ხოლო ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებთან თანამშრომლობის პროგრამით იგზავნება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა სახელმწიფოებში. (საქინფორმი).

დიდი ქალაქის დიდი საზრუნავი

სამუშაო შეხვედრა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში

დღითი დღე იზრდება და ვითარდება საქართველოს დედაქალაქის საქალაქო მეურნეობა. მილიონიანი ქალაქის ცხოვრების პრობლემები მოელი სიმწვავით აყენებს დღის წესრიგში თბილისის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მართვის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობას. სწორედ მისი გზების განსაზღვრას ისახავდა მიზნად სამუშაო შეხვედრა, რომელიც თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომში გაიმართა.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის, მისი უწყებების, სამსახურებისა და ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებთან, რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებთან შეხვედრაზე მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლ. ჭართველიშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. გაბუნია.

შეხვედრის დროს საქალაქო მეურნეობის პრაქტიკულად ყველა წამყვანი სფეროს ხელმძღვანელებმა აზრი გამოთქვეს საქმის მდგომარეობის, დარგების განვითარების, პერსპექტივების შესახებ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალაქისათვის აქტუალურ გადაუჭრელ პრობლემებს, მართვისა და დაგეგმვის ორგანიზაციის ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებს, რესპუბლიკის დედაქალაქის სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას.

შეხვედრაზე გამოვიდნენ ამხანაგები გ. დ. გაბუნია და დ. ლ. ჭართველიშვილი.

შეჯამა რა შეხვედრის შედეგები, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ქმაყოფილება გამოთქვა გამართული სჯა-ბაასის გამო. აღინიშნა, რომ ამ ბჭობის მონაწილე როგორც გამოცდილმა, ისე შედარებით ახალგაზრდა მუშაკებმა, რომლებსაც დღეს პასუხსაგები პოსტები უკავიათ საქალაქო მეურნეობის ხელმძღვანელობაში, კარგად იციან პრობლემები და ყველაფერი ეფექტურად წყვეტენ მათ. ქალაქში მიმდინარე ბევრი პროცესის მართვა უკვე შესაძლებელია, ისახება დედაქალაქის სახალხო მეურნეობის დარგების კომპლექსური განვითარების მკაფიო პერსპექტივა.

თბილისის, ისევე როგორც მთელი რესპუბლიკისა და ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, აღინიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, დიდი მნიშვნელობა აქვს დისციპლინის განმტკიცებას მისი ყველა ასპექტით. საგეგმო, საშემსრულებლო, საწარმოო, შრომის დისციპლინა საქალაქო მეურნეობის დარგების წარმატებული მუშაობის თავიდათავია. და ახლა ძალზე საჭიროა მათი საქმიანობა ისე წარგმართოთო, რომ შეესაბამებოდეს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მოთხოვნებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, დებულებებსა და დასკვნებს, რომლებიც ამ პლენუმზე და მოსკოველ ჩარხმშენებლებთან შეხვედრაზე გამოსვლისას ჩამოაყალიბა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა.

თბილისი — საქართველოს დედაქალაქი, სახეა რესპუბლიკისა. ამიტომ, ბუნებრივია, ქალაქი განსაკუთრებულ ყურადღებას, განსაკუთრებულ მზრუნველობას მოითხოვს. ამ ბოლო წლებში აქ ბევრი რამ გაკეთდა, მეტადრე — სოციალურ სფეროში, თუმცა ჯერ კიდევ საკმაოდ ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი. მათგან ერთ-ერთი და, კაცმა რომ თქვას, ყველაზე მწვავეა საბინაო მშენებლობის პრობლემა, თქვა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ. მართალია, ბინების სოციალისტიკოდ გადაცემის გეგმები უკანასკნელ წლებში რეგულარულად სრულდება, მაგრამ როგორც ქალაქში, ისე საერთოდ რესპუბლიკაში სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზებია კაპიტალური დაბანდების ათვისების მხრივ. მარტო უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მოსახლეობას დაკლდა ათასობით ბინა. საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ, როგორც გასულ წელს, რათა მაქსიმალური ეფექტიანობით გამოვიყენოთ საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილი ყოველი მანეთი, თითოეული კაპიკი. ეს არა მარტო სოციალური, არამედ პოლიტიკური ამოცანაც არის, რაც ხაზგასმით აღნიშნა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის ამსწინანდელ დადგენილებაში „საცხოვრებელი სახლებისა და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის გეგმების შესრულებას უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“.

უდიდეს ყურადღებას მოითხოვს საცხოვრებელი ბინების ხარისხი, უფრო სერიოზულად და მიზანმიმართულად უნდა ვიღვაწოთ მისი მკვეთრი გაუმჯობესებისათვის. ვერ შევფიგდებით იმას, რომ ახალმოსახლენი იძულებული ხდებიან თავად მოჰკიდონ ხელი ბინების კეთილმოწყობისა და მოპირკეთების საქმეს.

აღინიშნა რა საბინაო პრობლემის გადაჭრის გზები, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თქვა, რომ საჭიროა ყოველნაირად ვიყენებდეთ არა მარტო რესპუბლიკაში არსებულ რეზერვებს, არამედ იმ საკავშირო უწყება-სამინისტროთა შესაძლებლობებსაც, რომლებსაც თავიანთი საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები აქვთ საქართველოს დედაქალაქში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ საქმეში მეტი ოპერატიულობა და მოქნილობა გვმართებს.

ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე შეეხო მომსახურების სფეროს საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების პრობლემებს და აღნიშნა, რომ ამ დარგში ჯერ კიდევ არ მომხდარა სერიოზული ძვრები უკეთესობისაკენ. ამის დასტურია ქალაქის მშრომელთა ყველაზე ფართო ფენების აზრიც, რომლებიც სამართლიან პრეტენზიებს გამოთქვამენ საქალაქო ტრანსპორტის, სატელეფონო ქსელის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სხვა სფეროების მუშაობის გამო. ამ ცოტა ხნის წინათ ტელევიზიამ საინტერესო გადაცემა მოამზადა თბილისის სამგზაური ტრანსპორტის მუშაობის შესახებ. ტელემაყურებლებმა ნახეს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის მართვის ცენტრი. მაგრამ იქვე მოისმინეს ინტერვიუები საავიაციო ქარხნის მუშებთან, ელმავალმშენებლებთან, რომლებმაც სავსებით სამართლიანი საყვედური გამოთქვეს ამ სამსახურის მიმართ. აქ ამკარაა შეუსაბამობა ტრანსპორტზე საქმის სასურველ და რეალურ მდგომარეობას შორის.

ი, რა თქვა კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის მომავალი დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილემ მშენებლობის დარგში **ლ. მეგრელიშვილმა** საქინფორმის კორესპონდენტთან მ. ტრასკუნოვთან საუბრისას:

— კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზა შესაძლებლობას მოგვცემს თითქმის ათასი კილომეტრით შევამციროთ გზა მოსკოვსა და თბილისს შორის ტვირთზიდვის მხრივ, აღარ გახდება საჭირო წრიული გადახვევა, რომელზეც ათობით მილიონი მანეთი იხარჯება, რაციონალურად განაწილდება მგზავრთა და ტვირთის ნაკადები კავკასიის რკინიგზის ბილიკებზე. ეს ნიშნავს, ერთ-ერთი მაგალითი მოვიყვანე, ბაკურიანი, ბაკურიანი, ბაკურიანი. ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს, ეს ნიშნავ

კავკასიონის საუღელტეხილო...

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე მთელ რიგ სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის დაპროექტების დაწყების შესახებ, რომელიც შესაძლებელს გახდის კიდევ უფრო გაიზარდოს ტვირთნაზიდვა ამიერკავკასიის რესპუბლიკებში.

ამრიგად, რეალობად იქცევა საქართველოსა და რუსეთის მოწინავე ადამიანთა საუკუნეობრივი ოცნება შექმნილიყო ამიერკავკასიის რესპუბლიკებიდან უმოკლესი სარკინიგზო გასასვლელი ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში, პირდაპირ კავკასიონის გავლით.

კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობა ძირეულად გადაჭრის სატრანსპორტო პრობლემას ამ რეგიონში, უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის საჭიროებათა ნორმალურ მომსახურებას და მის შემდგომ განვითარებას. ეს ითქვა სკკპ XXVI ყრილობაზე, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე. „კავსახტრანსპროექტის“ საპროექტო-საძიებო ინსტიტუტმა შეიმუშავა, ხოლო ყველა დაინტერესებულმა ორგანიზაციამ განიხილა და შეათანხმა კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. სკკპ XXVI ყრილობის, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, რკინიგზის ტრანსპორტის შემდგომი განვითარების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური დიდენის ი. ვ. ანდროპოვის მითითების შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მიიღო გადაწყვეტილება კავკასიონის საუღელტეხილო გზის დაპროექტების დაწყების შესახებ.

ახლა, როცა ჩვენს რესპუბლიკაში ჩაღდება მზადება რუსი და ქართველი ხალხების დამოყვრების ისტორიული მანიფესტის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის, კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის დაპროექტების დაწყება კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ როგორ მტკიცდება სსრ კავშირის მომძლე ხალხთა მეგობრობის კავშირი, ადასტურებს მათს მისწრაფებას ამრავლონ წვლილი კომუნისტურ მშენებლობაში, ცხადყოფს პარტიისა და მთავრობის განუხრელ ზრუნვას ჩვენი დიადი სსრ მუშამლოდ ყოველი ხალხის შემდგომი განვითარებისა და აყვავებისათვის.

აი, რა თქვა კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის მომავალი დაპროექტებისა და მშენებლობის შესახებ ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის მოადგილემ მშენებლობის დარგში **ლ. მეგრელიშვილმა** საქინფორმის კორესპონდენტთან მ. ტრასკუნოვთან საუბრისას:

— კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზა შესაძლებლობას მოგვცემს თითქმის ათასი კილომეტრით შევამციროთ გზა მოსკოვსა და თბილისს შორის ტვირთზიდვის მხრივ, აღარ გახდება საჭირო წრიული გადახვევა, რომელზეც ათობით მილიონი მანეთი იხარჯება, რაციონალურად განაწილდება მგზავრთა და ტვირთის ნაკადები კავკასიის რკინიგზის ქსელის ძირითადი მიმართულებებით. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება საქართველოს სს რესპუბლიკის და ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკების მთის რაიონების სატრანსპორტო მომსახურება. ეს ხელს შეუწყობს რეგიონების ბუნებრივ სიმდიდრეთა უკეთ ათვისებას და, კერძოდ, მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას. ეს ხომ უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სასურსათო პროგრამის განხორციელების გზაზე.

მაგრამ, როგორც არაერთგზის თქმულა, კავკასიონის ქედით გაყოფილი საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთის დამაკავშირებელი ასეთი მაგისტრალის შექმნა ტექნიკური თვალსაზრისით უადვილად ძნელი და რთული საქმეა. გაუზვიადებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს ქვეყანაში არ არის ანალოგიური მშენებლობა, რომელიც რელიეფის სირთულის მიხედვით საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობას შეედრებოდეს. მაღალი მთის ტრასის მესამედზე მეტი გაივლის გვირაბებზე, გალერეებზე, ვიადუკებზე, ღიდსა და საშუალო ხიდებზე. მის სირთულეზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, მაგალითად, იმით, რომ ტრასის ყველაზე მაღალ ნაწილში ნიშნული ზღვის დონიდან 2300 მეტრს შეადგენს. კავკასიონის ქედში გამავალი ყველაზე დიდი საუღელტეხილო არხოტის გვირაბის სიგრძე 22 კილომეტრს მიაღწევს. ზოგიერთ უბანზე ნამქერის, ღვარცოფის, ზვავისგან რკინიგზის დასაცავად უნდა აშენდეს საყრდენი კედლები, რომლებიც სიმაღლით ოცდახუთსართულიანი სახლის ტოლი იქნება. უკვე 1985 წელს უნდა დაიწყოს სამშენებლო სამუშაოებისათვის მზადება, ხოლო 1986 წელს — მშენებლობა.

მშენებლობა უდიდეს სიძნელეებთან არის დაკავშირებული, მაგრამ ხომ ასევე დიდ სიძნელეებს ქმნის გზის უქონლობა. ძნელია ჯეროვნად არ შეგიფასოთ რკინიგზის ეკონომიკური მნიშვნელობა. მაგალითად, საკმარისია ითქვას, რომ მისი მშენებლობის მრავალმილიონანი დანახარჯები ათი წლის მანძილზე ანაზღაურდება. კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზა ყოველწლიურად მილიონობით მანეთს დაგვიზოგავს.

უდიდესი მუშაობაა გასაწევი მშენებლობის დაპროექტებისათვის, მომზადებისათვის, უნიკალურ ნაგებობათა შექმნისა და კადრების სწავლებისათვის, მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ წარმატებით დავძლევთ ყველა სიძნელეს. კავკასიონის საუღელტეხილო რკინიგზის შექმნა ხომ საყოველთაო-სახალხო საქმეა. შემთხვევით როდი უწოდეს ამ გიგანტურ მშენებლობას „ამიერკავკასიის საუკუნის მშენებლობა“.

მოსკოვში ჩამოვიდა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1 მარტს მოსკოვში შეგობრულ სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარე, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი, მარშალი სამორა მოიზეს მაშელი.

აეროდრომზე სტუმარს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

მეგობრული შეხვედრა

28 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა დ. თ. უსტინოვმა მიიღო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი, გენერალ-პოლკოვნიკი ჟ. ენდონი.

გაიმართა გულთბილი მეგობრული საუბარი, რომლის დროსაც განიხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები.

საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ნ. ვ. ოგარკოვი და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ლ. სოკოლოვი.

შეხვედრას დაესწრო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დ. გოტოვი. (საკდესი).

პლანეტას მუშიდობა სჭირდება

ვოლგოგრადი. (საკდესის კორ.). აქ გაიმართა წინააღმდეგობის მებრძოლთა საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდიუმის საბოლოო გაფართოებული სხდომა, რომელიც სტალინგრადის ბრძოლის 40 წლისთავს მიეძღვნა.

თავის გამოსვლაში ბეგრმა ანტიფაშისტმა პატრიოტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პლანეტის მთელი მშვიდობისმოყვარე ძალები ამ ღირსსახსოვარ თარიღს გამოიყენებენ იმისათვის, რომ გააძლიერონ ბრძოლა გამალებული შეიარაღებისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, დაძაბულობის შენელებისათვის. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ახალ სამშვიდობო ინიციატივებს, რომლებიც წამოაყენეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა. ეს ინიციატივები შეესაბამება ყველა ხალხის ინტერესებს, უჩვენებს მათ გამალებული შეიარაღების ალაგმვის გზას.

სხდომაზე მიიღეს მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც ხალხებს მოუწოდებს იბრძოლონ მშვიდობისათვის, განიარაღებისათვის.

პარტიული ცხოვრება: მივლინება კომუნისტის თხოვნით

ამას წინათ რედაქციაში სკკპ წევრის ს. სუხიშვილის წერილი მოვიდა... ავტორი გულისტკივილით გვწერდა, რომ თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მიკრორაიონის საბჭოსთან არსებული ავჭალის ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაცია უყურადღებოდ არის მიტოვებული, მას არც პიროები და არც ბაზა აქვს ნორმალური მუშაობისათვისო.

წერილში მოყვანილი ფაქტების შესამოწმებლად ვეწვიეთ საქართველოს კომპარტიის თბილისის გლდანის რაიკომს, ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის ხელმძღვანელობას, ამავე ქარხნის მიკრორაიონის საბჭოს თავმჯდომარეს, ავჭალის ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს, თვით წერილის ავტორს.

კომუნისტ სუხიშვილის წერილში მოყვანილი ფაქტები, სამწუხაროდ, მთლიანად დადასტურდა.

გინამოუღლი ორგანიზაცია

ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მიკრორაიონის საბჭოსთან არსებული ავჭალის ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაცია დიდი ხანია რაც არსებობს. თავდაპირველად იგი გაერთიანებული იყო ავჭალის სადგბო საბჭოსთან და ნაყოფიერ მუშაობასაც ეწეოდა. შემდეგში, როცა ავჭალის დასახლება დედაქალაქს შეერწყა, სადგბო საბჭო გაუქმდა. ტერიტორიული პირველადი პარტორგანიზაცია კი ისევე იქ დარჩა, განაგრძობდა თავის მუშაობას და კრებებს, ჩვეულებისამებრ, ყოფილი სადგბო საბჭოს შენობაში მართავდა.

თავიდან ყველაფერს თითქოს კარგი პირი უჩანდა: კომუნისტებს მუშაობაში ხელს არაფერი უშლიდა, იმართებოდა კრებები, განიხილებოდა საკითხები, ერთი სიტყვით, პარტორგანიზაციის მუშაობა თავისი კალაპოტით მიედინებოდა.

ერთხელ, როცა ჩვეულებრივად კომუნისტებმა კრებისათვის მოიყარეს თავი, მათთვის ოთახი აღარ აღმოჩნდა — ყოფილი სადგბო საბჭოს შენობაში კერძო პირები ჩაესახლებინათ საცხოვრებლად. ასე ჩაიშალა წინასწარ დანიშნული პარტიული კრება.

განცვიფრებულმა კომუნისტებმა დახმარებისათვის ზემდგომ ორგანოებს მიმართეს. რის წვალებისა და ჯაი-ვაგლახის ფასად, როგორც იქნა, მოხერხდა ბინამოშლილი პარტიული ორგანიზაციისათვის ერთი ოთახის გამოძებნა. კომუნისტებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა: თითქოს ჯიბრზე, ის ოთახიც მალე კერძო მობინადრემ დაიკავა.

აი, სწორედ აქედან იწყება პირველადი პარტიული ორგანიზაციის, ერთი შეხედვით, თითქოს დაუჯერებელი, მაგრამ ნამდვილი და ყოვლად შეუწყნარებელი „გზანი წამებისანი“. პარტბიუროს მდივანი (ყოფილი პედაგოგი, ამჟამად პენსიონერი) ე. გოგიჯანიშვილი ოთახის უქონლობის გამო პარტიულ შესატანს დათქმულ დროსა და დათქმულ ქუჩაზე (!) კრებდა. მთელ პარტიულ საბუთებს კი, რაკი მეტი გზა არ იყო, საკუთარ ბინაში ინახავდა. პარტიულ კრებებსა და, საერთოდ, პარტიულ მუშაობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო!

ეს გამონაკლისი ფაქტი თვეობით გრძელდებოდა. დაქსაქსული კომუნისტები ჩიოდნენ, დახმარებასა და საქმის გარჩევას ითხოვდნენ...

როგორც წერილის დასაწყისში ვახსენეთ, ეს ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაცია თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მიკრორაიონის საბჭოსთან არის შექმნილი და ამიტომ, ცხადია, ამ საწარმოს ხელმძღვანელები მეტად უნდა დაინტერესებულიყვნენ, სისხლხორცეულად უნდა ყოფილიყვნენ დაკავშირებული მივიწყებული პარტორგანიზაციის კომუნისტებთან, მის აქტივთან, მათ მხარდამხარ უნდა გაეშალათ მუშაობა მიკრორაიონის საბჭოს ტერიტორიაზე სანმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად. სამწუხაროდ, ეს აზრად არავის მოსვლია, არავინ დაინტერესებულა ამ პარტორგანიზაციის ბედით.

გლდანის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილებაში გვითხრეს: შესამოწმებელი აღარაფერია, წერილში მოყვანილი ფაქტები მოგვარებულიაო. მაგრამ სინამდვილეში გაკეთებული არაფერიც არ იყო...

ამ კურიოზული ამბების ძაღმა მერე იმავე ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანაში მიგვიყვანა. საერთოდ, დიდი უმადურობაა, კაცს გარჯა-მოწადინება არ დაუფასო, წყალში ჩაუყარო. ჰოდა, პირდაპირ უნდა ითქვას, ქარხნის ხელმძღვანელობამ გულთან მიიტანა ტერიტორიული პარტორგანიზაციის გასაჭირი და მიკრორაიონის საბჭოს თავმჯდომარესთან გ. ცხვედიანთან ერთად ერთ დღეში მოაგვარა ყველაფერი: გამოინახა თავისუფალი ოთახიც, საკანცელარიო ნივთებიც, დგამ-ავეჯიც. ის კი არა და, პარტიული საბუთების უსაფრთხო შენახვისათვის ახალთ-ახალ ცეცხლგამძლე ყუთსაც შეეპპრდნენ! და რამდენადაც ყველაფერი უცებ მოგვარდა, ეს იმდენადვე გულდასაწყვეტიც გამოდგა: სად იყვნენ აქამდე?! ეს რა სენი შეგვყრია და მოგვრევია — ნუთუ ჩვენი ღვიძლი მოვალეობის შესრულება სხვათა ჩიჩინისა და ძალდატანების გარეშე აღარ შეგვიძლია?! ნუთუ საკითხის მოგვარებას უეჭველად საჩივრის დაწერა და რედაქციების ჩარევა სჭირდება?!

ანდა, განა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაზე ზრუნვისა და კონტროლის დროს მხოლოდ სამუშაო ოთახის, მაგიდისა და სკამების აღრიცხვით უნდა შემოვიფარგლოთ?! ვის მოვთხოვოთ პასუხი, ვის ებარა ჭეშმარიტი პარტიული მუშაობის მიმდინარეობის სისტემატური შემოწმება, თვალყურის დევნება, მეთოდიკური დახმარება, მოკლედ, პარტორგანიზაციის ბედ-იღბალი? გოგაცებას იწვევს პარტიის გლდანის რაიკომის პოზიციაც: რატომ მივიწყა თავისი ოცდათვრამეტაკაციანი პარტიული ორგანიზაცია?

შეუძლებელია, მკითხველი არ დაინტერესდეს — ვინ არიან გაერთიანებულნი ამ პარტორგანიზაციაში? წევრთა დიდი უმრავლესობა შრომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანები არიან. ხუთ მათგანს სკკპ რიგებში ყოფნის 50 წელი შეუსრულდა. ერთი სიტყვითი, ისინი მრავალჭირნახულნი, გამობრძმედილნი, დიდი ცხოვრების სკოლაგამოვლილი კომუნისტები არიან, რომელთაც კვლავ ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება შეუძლიათ და სურთ.

მოკლედ, ს. სუხიშვილის წერილმა თვისი გასაკეთებელი გააკეთა, როგორც იტყვიან ხოლმე, სამართალმა პური ჭამა. მაგრამ... ნაწილობრივ. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ზემოდან ყოველგვარ დახმარებასა და ხელმძღვანელობას მოკლებული პარტორგანიზაციისათვის მარტო სამუშაო ოთახის და ავეჯის გამოყოფა ბევრს არაფერს ნიშნავს. მას უფრო სხვა დახმარება სჭირდება, სხვა კუთხით, სხვა დონით.

შ. ხეთაგური.

მარცვლეული ფურაჟის, ხორცის, რძის!

უკანასკნელ წლებში ხობის რაიონში მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული, განსაკუთრებით — მარცვლეულის წარმოების საქმეში. შარშან, უამინდობის დროს 4.013 ჰექტარი ფართობიდან 13.821 ტონა სიმინდის მარცვალი მიიღეს, ანუ საგეგმოზე 1700 ტონით მეტი. ჰექტარზე საშუალოდ 34,4 ცენტნერი მოსავალი მიიღეს. იმატა საკვები კულტურების წარმოებამაც. მაგრამ დღემდე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დონე არ შეესაბამება რაიონის შესაძლებლობებს. ხობელებმა გადაწყვიტეს 1985 წლისათვის სიმინდის ჰექტარობრივი მოსავლიანობა 38-40 ცენტნერამდე, 1990 წლისათვის კი 40-45 ცენტნერამდე გაადიდონ. ასევე ერთი-ორად იმატებს საკვები კულტურების წარმოება.

თუ როგორ, რა გზით და მეთოდებით გააკეთებენ ამას ხობელი მზვნელ-მთესველები, „კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ხობის რაიკომის პირველი მდივანი ნუგზარ ნაჯარაია.

კარგად ვიცით, რომ მარცვლეულისა და საკვების წარმოებას უდიდესი საარსებო მნიშვნელობა აქვს. მეცხოველეობის შემდგომი განვითარება და პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფა უშუალოდ არის დამოკიდებული მემინდვრეობაზე.

რაიონის სასურსათო პროგრამის შედგენის დროს გამოიკვეთა ახალი შესაძლებლობანი, რეზერვების ძიებისა და გამოყენების გზები და ყოველივე ამის საფუძველზე შემუშავდა საბრძოლო მოჯნები. მეთერთმეტე ხუთწლედში სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური მოცულობის ზრდა 18,4 პროცენტი უნდა იყოს, შრომის ნაყოფიერებისა — 17 პროცენტი. ეს კი ნიშნავს, რომ მეათე ხუთწლედთან შედარებით სახელმწიფოს მიყვიდით ხორცს — 1.400 ტონით მეტს, რძეს —2.245 ტონით მეტს, ჩაის ხარისხოვან ფოთოლს—7.600 ტონით მეტს, სიმინდის მარცვალს — 5.000 ტონით მეტს. ამასთან უპირველეს ამოცანად დავისახეთ სიმინდის მარცვლის საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა გავადიდოთ 38-40 ცენტნერამდე.

უფრო მეტ მიჯნებს ვისახავთ 1990 წლამდე პერიოდისათვის. 1990 წლისათვის მარცვლეულის წარმოებამ უნდა მიაღწიოს 40 ათას ტონას, ხორცისამ 3 ათას ტონას, რძისამ — 5 ათას ტონას, ჩაის ხარისხოვანი ფოთლისამ — 15.550 ტონას. შესაბამისად გაიზრდება სახელმწიფოსთვის პროდუქტების მიყიდვაც.

კოლხეთში და კერძოდ ხობის რაიონში ჯერ კიდევ დიდი რეზერვია მარცვლეულისა და საკვები კულტურების წარმოების გასაადიდებლად. ერთ-ერთი ძირითადი რეზერვი მიწების დაშრობის სამუშაოთა დაჩქარებაა. თუ ჰიდრომელიორაციამდე ამ მიწებზე ათეული წლების განმავლობაში იღებდნენ 12-15 ცენტნერ მარცვლეულსა და 45-71 ცენტნერ მწვანე მასას, ჰიდრომელიორაციის სამუშაოთა შესრულების შემდეგ გლეხკაცის მარჯვენამ 30-35, ზოგან 42 ცენტნერი სიმინდის მარცვალი და 250-300 ცენტნერი მწვანე მასა მოიწია.

მეთერთმეტე ხუთწლედში ჩვენს რაიონში გათვალისწინებულია ჭარბტენიანი მიწების დაშრობა 1.350 ჰექტარზე, ხოლო რეკონსტრუქციისა და მოქმედი დაშრობი სისტემის აღდგენითი სამუშაოების შესრულება ნავარაუდევია 6.500 ჰექტარზე, რაც საშუალებას მოგვცემს მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოს და მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლიდან ვაწარმოოთ 38-42 ათას ტონაზე მეტი სიმინდის მარცვალი.

ამ ახალ მიწაზე კარგად ხარობს აგრეთვე სოია და ლობიო, რომლებიც კარგი მოვლა-პატრონობით უნვ მოსავალს იძლევიან. რაიონის პარტიული ორგანიზაციის მეცადინეობითა და მოთხოვნით მიღწეულია სოიის კულტურით საზოგადოებრივ მეურნეობათა დაინტერესება, რამაც გარკვეული შედეგები მოგვცა. შარშან ვაწარმოეთ 900 ტონამდე და სახელმწიფოს მივყიდეთ 560 ტონაზე მეტი სოიის სუფთა მარცვალი, რაც 1975 წლის მაჩვენებელს 310 ტონით აღემატება. მართო სახელმწიფოსათვის სოიის მარცვლის მოყიდვის ვეგმის შესრულებით არ განისაზღვრება საერთო წარმატებები, საჭიროა მივაღწიოთ მისი წარმოების გეგმების შესრულებას და საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობის მკვეთრ ზრდას.

წლეულს ეს ძვირფასი კულტურა დაითესება 1350 ჰექტარზე და საშუალო ჰექტარობრივი მოსავლიანობა მიაღწევს 16 ცენტნერს (შარშან 8 ცენტნერი იყო).

სასურსათო პროგრამა მოითხოვს საქმისადმი შემოქმედებით მიდგომას. პროდუქტების ზრდის რეზერვების ძიებას. ლობიოს წარმოება ერთ-ერთი ასეთი რეზერვია როგორც რესპუბლიკაში, ასევე ხობის რაიონში. შარშან იგი დაითესა, მაგრამ ჭოროფამ და წყალდადობამ ბევრგან წაახდინა ნათესები, თუმცა მოსავალი მაინც მივიღეთ. წლეულს მის ფართობებს გავზრდით 60-70 ჰექტარამდე. ასე რომ, რაიონში არ დარჩება არც ერთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც არ ექნება ლობიოს კულტურის წარმოების დავალებები. ლობიოს სულ ვაწარმოეთ 150 ტონას, სოიას კი 2.147 ტონას. მომდევნო წლებში ერთიორად და კიდევ მეტად გაიზრდება მათი წარმოების გეგმები.

კოლხეთმშენებელთა მუშაობაზე აუგი როდი გვეთქმის, მაგრამ სასურსათო პროგრამის წარმატებით რეალიზაციისათვის მათ მიერ საუკეთესოები ჭაობის ხარისხოვნად დაშრობა-ათვისებას და ადრე დაშრობილი მიწების რეკონსტრუქციის სამუშაოებს დროულად შესრულება დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ უფრო მეტი მონდომება და ყაირათიანობა გმართებს.

მარცვლეულისა და საკვები კულტურების წარმოების ზრდა დიდად არის დამოკიდებული ტექნიკის გამართულ მუშაობაზე. საზოგადოებრივი მეურნეობების, „საქსახსოფლტექნიკის“ მოსახურებაზე გადასვლამ დიდი ეფექტი მოგვცა. ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მექანიზაციის ეფექტიანობის

> **„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს**
>
> **ასე იბრძვიან ხობის რაიონის მშრომელები სიმინდის, სოიის, ლობიოს მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადიდებისათვის**

დონე. საინჟინრო სამსახური უფრო ქმედითი გახდა. მეტია შესაძლებლობანი ტექნიკის კონცენტრაციისა და მანვერირებისათვის, შემცირდა მოცდენები, მომდინარე რემონტები, „საქსახსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების მომსახურებაზე გადასვლამდე საზოგადოებრივ მეურნეობებში საბაღოდ ძვირი ჯდებოდა ტექნიკის შენახვა. სრულ მომსახურებაზე გადასვლის შემდეგ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საერთო საწარმოო ხარჯები 450 ათას მანეთამდე შემცირდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია ამ საქმეში გადასაწყვეტი პრობლემა. ეს გახლავთ კოლეგიის პირობებისათვის მორგებული ტექნიკის უქონლობა.

ინდუსტრიული მეთოდითა და ტექნოლოგიით სამარცვლე და საკვები კულტურების წარმოება დიდად არის დამოკიდებული კომპლექსურ-მექანიზებულ რგოლებზე. მოგეხსენებათ, გაზაფხულზე და განსაკუთრებით შემოდგომობით კოლხეთში ხშირი კოკისპირული წვიმები იცის. ჭარბტენიან ნიადაგში ტექნიკა ეფლობა. სოიის ამღები, გამშრობი და გამნაოვებელი კომბაინი, რომელიც ამ პროცესს ერთდროულად ასრულებს, წვიმიან დღეებში ვერ შედის ყანებში, ხშირად ფუჭდება, რაც იწვევს მთელი წლის ნაჯაფ-ნაშრომი მოსავლის ლპობას, განადგურებას, დიდძალ დანაკარგებს. ფართოდ უნდა ვითანამშრომლოთ შესაბამის ინსტიტუტთან, რომელსაც ამ დარგში მეცნიერულად დასაბუთებული უდიდესი გამოცდილება აქვს.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და პირადად მინისტრის გ. მგელაძის ინიციატივით და ამავე სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავის“ (დირექტორი — მ. ღვინჯილია) მხარდაჭერით შარშან ჭალადიდის საბჭოთა მეურნეობა ინსტიტუტის შეფი გახდა. მეცნიერები ჭალადიდის მეურნეობაში სიმინდის, სოიისა და ლობიოს თესვის, დამუშავებისა და მოსავლის აღების დამთავრებამდე - თანამშრომლობდნენ აგრონომებთან, მექანიზატორებთან, მელიორატორებთან მარცვლეულის უხვი მოსავლის მისაღებად. ინსტიტუტმა მეურნეობა უზრუნველყო სიმინდისა და სოიის უხვმოსავლიანი ჯიშებით, რომელიც დაითესა შესაბამისად — 493 და 160 ჰექტარზე, ლობიო — 20 ჰექტარზე. მეურნეობამ საშუალოდ ჰექტარზე სიმინდის მარცვალი მიიღო 29 ცენტნერი, სოიისა კი 10 ცენტნერი. სულ მეურნეობამ 1981 წელთან შედარებით მიიღო 1.026 ტონით მეტი სიმინდის მარცვალი. ინსტიტუტი მეურნეობას დაეხმარა სოიის ასაღები კომბაინით, თორემ ისეთი კოკისპირული წვიმების დროს, როგორიც შარშან შემოდგომაზე იყო, ჰექტარზე 10 ცენტნერს კი არა, მის ნახევარსაც ვერ აიღებდნენ მეურნეობის მექანიზატორები. ინსტიტუტი წლეულს მთელ რაიონს შეფობს.

მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისათვის ნათეს ბალახებთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ბუნებისგან ბოძებულ საკვების დიდი რეზერვის — ყუღლების მასივის 2700 ჰექტარი საუკუნოვანი ჭაობის ქმედითს გამოყენებას. აქ ყოველწლიურად შეიძლება დამზადდეს 20-25 ათასი ტონა მწვანე მასა და 10-12 ათასი ტონა თივა, რაიონის საკვებმომპოვებელი განყოფილების მიერ კი მზადდება მხოლოდ 5 ათას ტონამდე მწვანე მასა. მაგრამ ამ მცირე ოდენობის მასის აღებაც დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტს დავალებული ჰქონდა შეექმნა ჭაობის პირობებისათვის მორგებული ბუნებრივი ბალახის ასაღები და გამოსატანი ტექნიკა. ეს საკითხი ინსტიტუტმა დღემდე ვერ გადაწყვიტა. არადა, დასასრნია ამ უდიდესი რეზერვის ამოქმედება სათანადოდ რომ ვერ შევძელით.

უკანასკნელ ხანს რაიონში სერიოზული ყურადღება დაეთმო კოლხეთის პირობებისათვის ისეთი ახალი შუალედური კულტურების დანერგვას, როგორიცაა ტუნერეფსი, რაფსი, ზვრილა და ჭვავი, რომელმაც არა მარტო გაზარდა საკვების წარმოების ოდენობა, არამედ შეავსო სახნავი სავარგულების ის ხანგრძლივი მოცდენა, რომელიც სათოხნი კულტურების მოყვანის შემდგომ პერიოდში დგებოდა. გარდა ამისა, აღნიშნული კულტურების ფართოდ დანერგვის შედეგად შეივსო საკვების ის დეფიციტი, რომელიც მეტ-ნაკლებად რაიონის ყველა მეურნეობაში შეიმჩნეოდა ადრე გაზაფხულზე.

სასურსათო პროგრამის წარმატებით განხორციელების საქმეში საზოგადოებრივი წარმოების ზრდის პარალელურად დიდ ყურადღებას ვაქცევთ პირადი დამხმარე მეურნეობის განვითარებას. მოსახლეობასთან ამჟამად გაფორმებულია ხელშეკრულებები კონტრაქტაციით 1170 ტონა ხორცზე, აქედან — არასასოფლო-სამეურნეო საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან ,,კოოპერირების ანგარიშზე — 330 ტონაზე, 300 ათას ცალ კვერცხზე, ასევე ხილზე, ციტრუსებზე და სხვა სასოფლო სამეურნეო კულტურებზე. ამავე დროს ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოყენებული მოქალაქეთა პირად დამხმარე მეურნეობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების, განსაკუთრებით კი მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების შესაძლებლობანი. გორის რაიონის ტყვიავლითა და აზრისლითა ინიციატივისამებრ შემოვიღეთ მიწათმოქმედთა თითოეული კომლის პასპორტს, გულმოდგინედ ვანგარიშობთ, ვაგროვებთ ცნობებს ამა თუ იმ ოჯახის შესახებ, იმასაც ვანგარიშობთ, საკარმიდამო ნაკვეთებს რა უკეგების შესაძლებლობანი აქვს და სხვ.

მთელ რიგ სოფლებში შეინიშნება პირუტყვის რაოდენობის შემცირების არასასურველი ტენდენცია. მაგალითად, რაიონის მოსახლეობიდან 620 კომლს არ ჰყავს ძროხა, ბევრს კიდევ ღორი და ფრინველი, ცხადია, მოსახლეობის ასეთი კატეგორია ნაკვლად მწარმოებლისა, მომხმარებელი გახდა. საზოგადოებრივ მეურნეობებს დაეგალათ მოსახლეობას პირუტყვისათვის გამოუყონ საძოვრები, მისცენ სესხი ძროხისა და ღორის შესაძენად.

გაერთიანების საგულისხმო ღონისძიება ისიც არის, რომ იგი საწარმოთა საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესებაზე ბევრი და მათ შორის წვრილმანი საკითხის მოგვარებისაგან მნიშვნელოვნად ათავისუფლებს პარტიის რაიონულ კომიტეტს, ვფიქრობთ, მიმდინარე წელს თვითსებური გამოცდა იქნება მთელი ჩვენი სამეურნეო, პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობისა.

საუბარი ჩაიწერა „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტმა
ბ. ნოდიამ.

სურათებზე: სოფლტექნიკის ხობის რაიონული განყოფილების მეეტერანი მექანიზატორი ენდუშ შონია; ამავე ბრიგადის მექანიზატორები საყანე მიწის ხვნისას.
ა. ჩარკვიანის ფოტო.





„კომუნისტის“ ინტერვიუ

მთავარია: ხარისხიანი პროდუქცია

თბილისის წინდების საწარმოო გაერთიანება რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი დიდი საწარმოა, რომლის ფართო მოხმარების საგნებზე დიდი მოთხოვნილებაა.

იმის შესახებ, თუ როგორ იღვწიან გაერთიანების მშრომელები მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთერთმეტე პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივის ინიციატივის გავრცელებისათვის და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს ესაუბრა გაერთიანების გენერალური დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი **უ. ქართველიშვილი.**

კითხვა: როგორ ეხმაურება გაერთიანების კოლექტივი დიმიტროვლთა ახალ ინიციატივას „ხანმოშო დისციპლინა, მაღალი ორგანიზებულობა, აქტიურობა და პასუხისგებლობა — თითოეულისაგან, ყველგან და ყველაფერში!“, როგორი შედეგებით დაამთავრეთ წლის განვლილი პერიოდი?

დიმიტროველთა ამ ახალ ინიციატივას ჩვენი გაერთიანების მშრომელები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ. გადაწყვეტეთ გაერთიანების პარტიულ კომიტეტთან და საფაბრიკო კომიტეტთან ერთად ჩამოგვეყალიბებინა მიზნობრივი მართვის სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობდა შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას. ამასთან დაკავშირებით ცალკეულ სამსახურებში განხორციელდა მოსამზადებელი სამუშაოები, შეიქმნა სპეციალური კომისიები, რომლებიც დისციპლინის განმტკიცების საკითხებს ახლებურად მიუდგებოდნენ და შეიმუშავებდნენ ისეთ ფორმებს, რომლებიც დაგვეხმარებოდა საწარმოო საკითხების დადებითად გადაჭრაში. შრომას უშედეგოდ არ ჩაუვლია. ყველა სამსახურის სპეციფიკის მიხედვით შევიმუშავეთ როგორც მიზნობრივი ისე ფუნქციურ-კომპლექსური გეგმები. ფუნქციურ-კომპლექსური გეგმა მიზნად ისახავს საშემსრულებლო დისციპლინის ამაღლებას ყველა სამსახურის მიხედვით, ხოლო მიზნობრივი გეგმა ითვალისწინებს ღონისძიებათა მთელ კომპლექსს, რომელიც გაერთიანების ყველა სამსახურს, ყველა განყოფილებას უზრუნველყოფს ნედლეულით, ტექნიკით, დაკმაყოფილებს მათ ყველა მოთხოვნას.

ჩვენს მიერ შექმნილი ეს ახალი სისტემა დანერგვის პროცესშია. ამ საქმეში. ყველა ამ ღონისძიების მიზანია მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლების მოპოვება. გაერთიანების ხელმძღვანელობას დისციპლინის განმტკიცებაში ეხმარება რეიდები, რომლებიც სისტემატურად ეწყობა საწარმოებში. ეგრეთ წოდებული პროფილაქტიკის სამსახური ავლენს დისციპლინის თითოეულ დამრღვევს, სამუშაოს გამცდენს, რეიდების დროს დიდი ყურადღება ექცევა ნედლეულის ყაირათიანად გამოყენების, ხარისხიანი პროდუქციის დამზადების უგულებელყოფის ფაქტების მხილებას. აღსანიშნავია, რომ გაერთიანების საწარმოებში მნიშვნელოვნად შემცირდა ხუთწუთიანი და ათწუთიანი მოცდენები. 1981 წელთან შედარებით შარშან მოცდენები 45 პროცენტით შემცირდა, ხოლო წლეულს შარშანდელი წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით — 5 პროცენტით.

საწარმოებში დისციპლინის განმტკიცება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ზოგჯერ მუშას სამუშაოზე აგვიანდება ტრანსპორტის გაუმართავი მუშაობის გამო, საქართველოს სსრ ტრანსპორტის სამინისტრო ტრანსპორტთან დაკავშირებული ბევრი საკითხის მოგვარებაში დაგვეხმარა, მაგრამ კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება ვაზისუბნიდან ჩვენი მუშამოსამსახურეების საწარმოებამდე მოყვანა. იმედია, ამ საკითხის გადაჭრაშიც დაგვეხმარებიან.

გაერთიანების იდმინისტრაცია, პარტიული კომიტეტი, პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტი ზრუნავენ მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის. მეთაური საწარმოში მაღე გაიხსნება საყოფაცხოვრებო მომსახურების „პირიმზეს“ ფილიალი, რომელშიც იქნება შემნახველი სალარო, ქალთა სპორტიკმახერი, ქიმიური წმენდის მიმღები პუნქტი, საგამომცემლო და სამკერვალო უბანი, აქ შეეძლებათ აგრეთვე სხვადასხვა საოჯახო ნივთების შეკეთება.

გაერთიანების კოლექტივმა დიდი შრომითი ენთუზიაზმით დაიწყო მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წელი. განვლილ პერიოდში პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის სახელმწიფო გეგმა შესრულდა. სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა გადაჭრბებით შევასრულეთ, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა — 102 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების გაზრდა მომუშავეთა შემცირების ხარჯზე მოხდა.

კითხვა: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმზე აღინიშნა, რომ მასალატევადობის და დანაკარგების შემცირება, წარმოების ნარჩენების სრული გამოყენება — ეს ახლა ამოცანათა ამოცანაა, რა კეთდება ამ მხრივ გაერთიანებაში?

გაერთიანებაში დიდი მონდომებით ეკიდებით დანაკარგების შემცირებას, ჩვენი მიზანია რაც შეიძლება მაქსიმალურად გამოვიყენოთ ნარჩენები, ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სამეცნიერო-ინსტიტუტის მუშაკებთან ერთად შევიმუშავეთ რამდენიმე ახალი სახეობის ნაწარმი. აჟამად გაერთიანებაში ნარჩენებისაგან რვა ახალ ნაწარმს ამზადებენ. ესენი გახლავთ ბავშვის, ქალის, მამაკაცის წინდები, ნარჩენების უბანი კიდევ უფრო გაფართოვდება თელავის წინდის ფაბრიკაში. მიღწეული საკმარისი როდია, ვცდილობთ მაქსიმალურად ავითვისოთ ნარჩენები, ეს ახლა ჩვენი უმთავრესი ამოცანაა.

კითხვა: გაერთიანება ვერ ასრულებს ასორტიმენტის მიხედვით პროდუქციის გამოშვების გეგმას. მალაზიებში ნაკლებად ჩანს ახალი პროდუქცია. გვაინტერესებს, წლეულს მომხმარებელი რამდენი ახალი სახეობის ნაწარმს მიიღებს, დაწყებულია თუ არა მათი გამოშვება?

მართალი ბრძანდებით, გაერთიანება ვერ ასრულებს ზოგიერთი ასორტიმენტის გეგმას, ეს კი ძირითადად განპირობებულია ნედლეულის, დამხმარე მასალების და საქსოვი ნემსების ურიტმო მოწოდებით. მუშაობაში ხელს გვიშლის აგრეთვე მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი მანქანა-დანადგარები. მეთერთმეტე ხუთწლედში გაერთიანებაში შეიქმნა ელექტროფიკაციის ბიურო, ამ ბიურომ ეფექტურ ცვლევითი ინსტიტუტის მუშაკებთან ერთად შევიმუშავეთ რამდენიმე ახალი სახეობის ნაწარმი. ამჟამად გაერთიანებაში ნარჩენებისაგან რვა ახალ ნაწარმს ამზადებენ. ესენი გახლავთ ბავშვის, ქალის, მამაკაცის წინდები, ნარჩენების უბანი კიდევ უფრო გაფართოვდება თელავის წინდის ფაბრიკაში. მიღწეული საკმარისი როდია, ვცდილობთ მაქსიმალურად ავითვისოთ ნარჩენები, ეს ახლა ჩვენი უმთავრესი ამოცანაა.

კითხვა: გაერთიანება ვერ ასრულებს ასორტიმენტის მიხედვით პროდუქციის გამოშვების გეგმას. მალაზიებში ნაკლებად ჩანს ახალი პროდუქცია. გვაინტერესებს, წლეულს მომხმარებელი რამდენი ახალი სახეობის ნაწარმს მიიღებს, დაწყებულია თუ არა მათი გამოშვება?

მართალი ბრძანდებით, გაერთიანება ვერ ასრულებს ზოგიერთი ასორტიმენტის გეგმას, ეს კი ძირითადად განპირობებულია ნედლეულის, დამხმარე მასალების და საქსოვი ნემსების ურიტმო მოწოდებით. მუშაობაში ხელს გვიშლის აგრეთვე მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი მანქანა-დანადგარები. მეთერთმეტე ხუთწლედში გაერთიანებაში გამორიცხულია მანქანა-დანადგართა პარკის განახლება, რაც დიდად შეგვიწყობს ხელს გამოვუშვათ ის პროდუქცია, რომელზეც მოსახლეობის დიდი მოთხოვნილებაა. წლის დამდეგიდან ექვსი ახალი ნაწარმი გამოვუშვით. ეს გახლავთ ბავშვის წინდა, ქალის სხვადასხვანაირი კოლგოტკები, მამაკაცის მაღალყელიანი წინდა. წლეულს სიახლის დანერგვის მხრივ სხვა წლებთან შედარებით უკეთესი მდგომარეობა გვაქვს.

კითხვა: საწარმოში დამზადებული პროდუქცია ზოგჯერ უხარისხოა. რა ღონისძიებები ხორციელდება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის?

მაღალი ხარისხის პროდუქციის დამზადება ჩვენი კოლექტივის უპირველესი მიზანი უნდა იყოს, მაგრამ ზოგჯერ, სამწუხაროდ, მართლაც წუნიანი პროდუქცია გვეპარება მომხმარებლამდე, რაც სახელს უტეხს თბილისურ წინდას. რა დასამალია და, ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ მოწინავე საწარმოს. ჩვენი გაერთიანების სპეციალისტები მივლინებული იყვნენ რიგის წინდის საწარმოო გაერთიანება „ავრორაში“, სადაც წარმოების კულტურა საკმაოდ მაღალია, აქ დამზადებული ნაწარმი მოსაწონია და მასზე დიდი მოთხოვნაა. სწორედ გამოცდილების გაზიარების მიზნით ვიყავით რიგაში და ბევრი სასარგებლო რამ გავიგეთ მათი მუშაობის შესახებ.

გაერთიანების მუშაკთა მთელი გულისყური ახლა ხარისხიანი პროდუქციის გამოშვებისკენ არის მიმართული, სწორედ ამ საქმეს ემსახურება აქ დამონტაჟებული ახალი მანქანა-დანადგარები. გასული წლის დამლევს მეთაურ საწარმოში დაიდგა უცხოური მანქანები, რომელთა საშუალებით ბავშვის კოლგოტკის ნაწიბურების მ

1 მარტი
უკრეთუ
ფაქტები მოვლენები საკლესი იუწყება

ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა

28 თებერვალს გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის აგროსამრეწველო კომპლექსის საკითხთა კომისიის სხდომა, რომელზეც მოისმინეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის ფასების სახელმწიფო კომიტეტის, ცალკეული რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების მოხსენებანი იმის შესახებ, თუ რა მუშაობა წარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის ფასების დიფერენციაციისათვის და დაბალრენტაბელური და ზარალიანი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით ამ ფასების დანამატის შემოღებისათვის.

ყურადღება მიეპყრო იმას, რომ ზოგიერთ რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქსა და რაიონში ნაციონალური ნაკლოვანებანია ამ საქმეში. ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში როდინ შემუშავებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი. არის შემთხვევები, როცა არასწორად მოიხმარენ სახსრებს, რომლებიც გამოყოფილია სახელმწიფოსათვის მისაყიდი პროდუქციის შესყიდვის ფასების გადიდებისა და ფასნამატის დაწესებისათვის. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს სახსრები უწინარეს ყოველისა უნდა უზრუნველყოფდეს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდას და მეურნეობათა ეკონომიკის განმტკიცებას, მათგან მაღალი უკუგების მიღებას მომდინარე წელსვე.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრმა ნ. თ. ვასილიევმა და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვ. კ. მესიაცმა სხდომის მონაწილეებს მოახსენეს ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულია მელიორირებულ მიწებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის, აგრეთვე სარწყავ სისტემათა რეკონსტრუქციის დაჩქარებისათვის სსრ კავშირის სასურსათო პროგრამით გათვალისწინებულ დავალებათა შესრულებასთან. აღინიშნა, რომ ამ მიწებზე უნდა გაფიდდეს სიმინდის მარცვლის, ხანკოლისა და სხვა საკვები კულტურების წარმოების ხვედრითი წილი.

სხდომაზე განიხილეს საერთოსაკავშირო ფონდში ხორცისა და რძის პროდუქტების მიწოდების გეგმის შესრულების მიმდინარეობა.

იმსჯელეს აგრეთვე აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში ავტომატიზაციის საშუალებების, საზომი ტექნიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვის დაჩქარების საკითხზე.

(საკდესი).

● ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ

განვპვითარეთ მეგობრობა და ურთიერთგაგება

ტოკიო. ვამრავლოთ მეცადინეობა სსრ კავშირთან მეგობრობისა და ურთიერთგაგების განვითარებისათვის, არ დავუშვათ მილიტარიზმის გზაზე იაპონიის დაქანება — მოუწოდეს იაპონიის პროგრესულ საზოგადოებრიობას „იაპონია-სსრ კავშირის“ საზოგადოების აქ დამთავრებული მორიგი ყრილობის დელეგატებმა.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა იაპონია-სსრ კავშირის საზოგადოების 250 აქტივისტი — ქვეყნის სხვადასხვა პრეფექტურის წარმომადგენელი, რომლებმაც განიხილეს და მიიწონეს ამ მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობის წლევანდელი ვრცელი პროგრამა.

ყრილობაზე მიღებულ მოქმედების პროგრამაში გამოთქმულია შეშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ კიდევ უფრო ძლიერდება ტოკიოსა და ვაშინგტონის მილიტარისტული კავშირი და იაპონია ებმება ამერიკის შეერთებული შტატების ანტისაბჭოთა ბირთვულ სტრატეგიაში. „ასეთ დროს იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის მოძრაობას დიდი წვლილი შეაქვს იაპონელი ხალხის უშიშროების, აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში“, — ხაზგასმით არის აღნიშნული დოკუმენტში. ეს მოძრაობა, ითქვა ყრილობაზე, მშვიდობისათვის, ბირთვული იარაღის ლიკვიდაციისათვის, მეუმხრობლობისა და ნეიტრალიტეტის გზით ქვეყნის განვითარებისათვის იაპონიის დემოკრატიული ძალების ბრძოლის შემადგენელი ნაწილია.

დელეგატებმა, რომლებმაც გაითვალისწინეს იაპონიის მოსახლეობის ფართო ფენების მზარდი ინტერესი საბჭოთა ადამიანების ცხოვრებისადმი, სსრ კავშირში სოციალიზმის მიღწევებისადმი, განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხელი შეუწყონ სხვადასხვა დარგში ორი ქვეყნის ურთიერთობის შემდგომ გაღმტკიცებას. ღონისძიებათა დასახული ვრცელი პროგრამა შეიცავს იაპონიაში საბჭოთა მუსიკალური კოლექტივებისა და შემსრულებლების გასტროლებს, გამოფენების მოწყობას, მოსახლეობისათვის რუსული და საბჭოთა მრავალეროვნული კულტურის გაცნობას, დელეგაციებისა და ტურისტული ჯგუფების გაცვლას, დამოყვრებული ქალაქების ურთიერთობის გაფართოებას.

ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲢᲠᲐᲥᲢᲐᲢᲘᲡ 200 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური თეატრალური ფესტივალი გაიხსნა დრამატურგ გ. ბთიაშვილის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლის პრემიერით — „1832 წელი“. ქართველი დრამატურგის ახალი ნაწარმოები სოხუმის ქართულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. ქავთარაძემ.

— პიესამ შემოქმედებითი კოლექტივი მიიზიდა მაღალი მოქალაქეობრივი ყღერადობით, — თქვა ქალბატონმა რეჟისორმა. — მისი გმირები არიან ადამიანები, რომლებისთვისაც თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის იდეები ცხოვრების უმაღლეს აზრს შეადგენდა. შევეცადეთ გვეჩვენებინა მამაცობის სათავეები, ჩვენი სახელოვანი თანამემამულეების — 1832 წელს თბილისში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილეების, რუსი დეკაბრისტების ღირსეული თანამემამდევრების ხასიათის ჩამოყალიბება.

მკაფიო, დამაჯერებელი სახეები შექმნეს სპექტაკლში სსრ კავშირის სახალხო არტისტმა მ. ჩუბინიძემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ს. პაჭორიამ, თეატრის წამყვანმა მსახიობებმა დ. ჯიაბნმა, გ. სირაძემ, ვ. არგვლიანმა და სხვებმა.

სცენური ხელოვნების საიუბილეო დათვალიერებაში, რომელიც მომდინარე წლის შემოდგომის დამლევამდე გასტანს, რესპუბლიკის პრაქტიკულად ყველა თეატრი მონაწილეობს. ფესტივალს აფიშაზეა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საუკეთესო დრამატული ნაწარმოებისათვის რესპუბლიკური კონკურსის მონაწილე პიესები, რომელიც გამოაცხადეს საქართველოს კულტურის სამინისტრომ და რესპუბლიკის თეატრალურმა საზოგადოებამ. მათ შორისაა მწერალ ო. ჩხეიძის „სოლომონი“, რომელიც ასახავს მეფე ერეკლეს მრჩეველის სოლომონ ლეონიძის საქმიანობას. ამ სპექტაკლს თბილისის მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე დადგამს თეატრის მთავარი რეჟისორი თ. ჩხეიძე. რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი აჩვენებს სპექტაკლს „ქართლის ბედი“ ნ. ბარათაშვილის მიხედვით, რომელსაც დადგამს რ. სტურუა.

თბილისის გრიბოედოვის სახელობის რუსული სახელმწიფო თეატრის რეპერტუარშია ა. სუმბათაშვილ-იუჟინის პიესა „დალატი“, აგრეთვე ქუთაისის გუბერნიის „წითელი გუბერნატორის“, ვ. სტაროსელსკის ცხოვრებისადმი მიძღვნილი პიესა, რომელსაც ავტორთა ჯგუფი ქმნის. სპექტაკლს დადგამენ რეჟისორები გ. ჟორდანია და ლ. ჯაში.

მეგობრობის სადღესასწაულო ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს დედაქალაქის მოზარდ მაყურებელთა თეატრებიც. მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში რეჟისორი შ. გაწერელია დადგამს ვ. იაქაშვილის „ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელი წლების ქრონიკას“, ხოლო რუსული თეატრი წარმოადგენს თ. აბაშიძის მიერ დადგმულ „პატარა კახს“.

მომავალ იუბილეს თავის საუკეთესო ნამუშევრებს უძღვნის ბათუმის თეატრი, რომელიც დასადგმელად ამზადებს სპექტაკლებს — გ. კარბელაშვილის — „წამებულნი“ და ლ. გოთუას — „ეფე ერეკლე“. იგივე თემა აირჩია ცხინვალის თეატრის ქართულმა დასმაც.

გორის თეატრი მაყურებლს მიიწვევს ლიტერატურულ-დრამატულ კომპოზიციაზე „მეგობრობის გზები“.

ქართულ სცენაზე პირველად ამეტყველდებიან ჩეხოვის „ალუბლის ბაღის“ გმირები. ამ სპექტაკლს ქუთაისის თეატრში დგამს რეჟისორი ი. კაკულია. (საქინფორმი).

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ

გასული წლის აგვისტოში ყვარლის რაიონის პარტიული ხელმძღვანელობის ინიციატივით შეიქმნა გრემ-ნეკრესის სახალხო უნივერსიტეტი, რომლის რექტორად არჩეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი ჯ. გიუნაშვილი. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად მსმენელებისათვის ეწყობა მეცადინეობანი აქტუალურ თემებზე.

ამა წლის 18 თებერვალს ქ. ყვარელში გიმართა უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა, რომელიც მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. მეცადინეობა შესავალი სიტყვით გახსნა პროფესორმა ჯ. გიუნაშვილმა.

მოხსენება „საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის სათავეებთან“ გააკეთა სოხუმის მ. გორკის სახელობის უნივერსიტეტის დოცენტმა, რესპუბლიკის კომკავშირის პრემიის ლაურეატმა ზ. პაპასკირმა. მომხსენებელმა დაწვრილებით გააშუქა X-XII საუკუნეთა მანძილზე საქართველო-რუსეთის კულტურული, პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობა. შეეხო დინასტიურ ქორწინებებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ლ. ტუხაშვილმა წაიკითხა მოხსენება „გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა“.

მეცადინეობამ სახალხო უნივერსიტეტის მსმენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია, მომხსენებლებმა პასუხი გასცეს მრავალ შეკითხვას.

მ. ჩიხიაშვილი,
გაზეთ „ყვარლის“ განყოფილების გამგე.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲘ

„მეცნიერება და ტექნიკა“ № 2

გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის **„მეცნიერება და ტექნიკის“** მორიგი მეორე ნომერი.

„საქართველოს ბუნება“ № 2

გამოვიდა საქართველოს სსრ სტყეო მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ყოველთვიური სამეცნიერო-საწარმოო პოპულარული ჟურნალის „საქართველოს ბუნების“ მორიგი, მეორე ნომერი.

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲕᲓᲜᲔᲜ ᲛᲔᲓᲚᲘᲗ „ᲮᲐᲜᲫᲐᲠᲖᲔ ᲛᲐᲛᲐᲪᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ხანძრის ჩაქრობისას გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით წედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოვდნენ:

ზაურავი ანებ დუშას ძე — რიგითი ჯარისკაცი, **კარაპეტიანი ლევონ** მელიქის ძე — მაიორი, **კუნდიალისი** ვალდას ბრონისლავის ძე — რიგითი ჯარისკაცი, **რაზუმნი** ივანე კონდრატეს ძე — მაიორი, **ხტეპანცევი** ევგენი ალექსანდრეს ძე — მაიორი, **ხაშჩინნი** გიორგი ვასილის ძე — მაიორი.

კონსტრუქციული მიდგომისათვის

საბჭოთა კავშირი კვლავ ადასტურებს თავის პრინციპულ პოზიციებს მშვიდობისა და განიარაღების საკითხებში, გულისწყრომით გმობს ამერიკის შეერთებული შტატების აშკარად ნეგატიურ დამოკიდებულებას შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების საკითხებისადმი, მის მიხწრაფებას როგორმე თავს მოახვიოს დასავლეთ ევროპას მის ტერიტორიაზე ახალი ამერიკული რაკეტების განლაგების „მეოცავი ვარიანტი“. ეს ლაიტმოტივი გასდევს საზღვარგარეთის ბევრ კომენტარს „პრავდის“ კორესპონდენტის კითხვებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. გრომიკოს პასუხთან დაკავშირებით.

ამ პასუხში, წერს „ნოიეს დოიჩლანდი“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფება — მოიპოვოს სამხედრო უპირატესობა და დაამსხვრიოს პარიტეტი — აბრკოლებს ჟენევის მოლაპარაკების პროგრესს. ვითომდა სხვა ახალი „შუალედური“ ვარიანტების ირგვლივ ატეხილ პროპაგანდისტულ აურზაურში ამერიკის შეერთებული შტატები საქმეს ისე წარმართავს, რომ განახორციელოს თავისი პირვანდელი დებულება — რადაც უნდა დაუჯდეს მიაღწიოს ნატოს გეგმის რეალიზაციას — თავს მოახვიოს დასავლეთ ევროპას ახალი ამერიკული რაკეტები.

რეიგერის საგენტო იუწყება: სსრ კავშირი აღნიშნავს, რომ არავითარი წინსვლა არ იგრძნობა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებაზე. რაც შეეხება ცნობებს, ვაშინგტონმა ჟენევის მოლაპარაკებაზე შეიძლება რაღაც „შუალედური ვარიანტები“ წამოაყენოსო, ამასთან დაკავშირებით მოსკოვმა განაცხადა, რომ ჯერჯერობით ამ თემაზე მსჯელობას არ დასტყობია მეტი რეალიზმი. საბოლოო ანგარიშით, მიზანი ერთია: როგორმე განალაგონ დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტები. როგორც საბჭოთა კავშირს მიაჩნია, აღნიშნავს ამერიკის **იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტო,** მთელი პრობლემა ის არის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ უფია ხელი თავის „ნულოვან ვარიანტზე“, რომელიც მოსკოვისათვის მიუღებელია. გაზეთი **„ნიუ-იორკ ტაიმი“** ეხება ბრალდებას ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ვერა და ვერ შელეგია თავის ყალბ „ნულოვან ვარიანტს“, ხოლო საშუალო სიშორის რაკეტების პრობლემისადმი ვაშინგტონის მიდგომაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა, ბევრს კი ლაპარაკობენ, მოქნილობა გვმართებსო.

თუმცა, საბჭოთა კავშირის აზრით, ჟენევის მოლაპარაკება ამჟამად ბლოკირებულია, წერს დასავლეთ გერმანიის **„გენერალ-ანციაგერი“,** მას შესაძლებლ ა დ მიაჩნია მიღწეულ იქნეს შეთანხმება, თუ ამერიკის შეერთებული შტატები უფრო მოქნილ პოზიციას დაადგება, უარს იტყვის პატიოსანი არავითარი წინადადებანი არ შეუტანიათ, რომლებიც თანასწორობის პრინციპს შეესაბამებოდეს. ნატოს სახელმწიფოებს სურთ იქონიონ სამხედრო უპირატესობა. ისინი ცდილობენ ევროპელები შეაგუონ იმ აზრს, რომ მათს მიწა-წყალზე ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტები განლაგდება, და შექმნან მთაბეჭდილება, თითქოს ამ შემთხვევაშიც ჟენევის მოლაპარაკება თავისთავად წარმართებოდა. ეს თავის მოტყუებაა. როგორც ხაზგასმით აღნიშნავს სსრ კავშირი, დასავლეთ ევროპაში ახალი ამერიკული რაკეტების გაჩენა თავსებრივად სხვაგვარ სიტუაციას შექმნიდა, შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საერთოდ ნატოს დაეწვებოდა.

საბჭოთა კავშირი მზად არის დაეთანხმოს ბირთვული იარაღის შეზღუდვის შორს გამიზნულ ღონისძიებებს, თუნდაც მის სრულ ლიკვიდაციას, წერს ინდოეთის **„სთეიტსმენი“.** მოსკოვი აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების ცალმხრივ, ეგოისტურ პოზიციას ჟენევის მოლაპარაკებაზე და აღნიშნავს, რომ ვაშინგტონი ესწრაფვის სსრ კავშირის ცალმხრივ განიარაღებას, ამავე დროს თითსაც არ აკარებს უახლესი ბირთვული საშუალებების შექმნის თავის პროგრამებს, რომელთა მიზანია სამხედრო უპირატესობის მოპოვება. სსრ კავშირი თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების პრინციპების შესაბამისი მორიგების მომხრეა. და თუ ვაშინგტონში შეელევიან პარიტეტის მსხვრევის გეგმებს და გამოიჩენენ კონსტრუქციულ მიდგომას, მაშინ მორიგება შესაძლებელი გახდება.

ᲤᲝᲢᲝᲒᲐᲖᲔᲗᲘ





ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲘᲕᲘᲐ ᲞᲔᲠᲣ

პერუ ის ქვეყანაა, სადაც ევროპული კულტურა შერწყმულია ძველი ინდიელების ცივილიზაციების მემკვიდრეობასთან. ახლანდელი პერუს სახელმწიფოს ტერიტორიაზე ოდესღაც მოახლე ძველი ინკების იხტორიაში შევიდნენ, როგორც დიდი არქიტექტურული ანსამბლებისა დს საირიგაციო სისტემის შემქმნელები. ამ ქვეყნის ბევრ რაიონში დღესაც შეხვდებით სიძველის უნიკალურ ძეგლებს.

• • •

სურათებზე: კუსკოელი მცხოვრები (მარცხნივ ზემოთ); ინკების ძველი დედაქალაქის კუსკოს ქუჩებში (ქვემოთ).

● ●

საკდესის ფოტოკრონიკა.

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულებათა რატიფიკაციისათვის

ნიუ-იორკი. სენატორმა მერილენდის შტატისაგან ჩარლზ მეტაიესმა მხარი დაუჭირა ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ ბირთვული იარაღის მიწისქვეშა გამოცდის შეზღუდვისა და მშვიდობიანი მიზნით მიწისქვეშა ბირთვულ აფეთქებათა შესახებ ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ხელშეკრულებათა რატიფიკაციას. ასეთი ნაბიჯი, წერს იგი გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებულ წერილში, მთლიანად შეესაბამება დიდმნიშვნელოვან მიზანს — ბირთვული შეიარაღებისადმი კონტროლის დაწესებას. არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ შემდგომშიც გავაჭიანუროთ ამ ორი დოკუმენტის რატიფიკაცია, წერს სენატორი. ორივე ხელშეკრულება წინათ სენატის განსახილველად ოფიციალურად უკვე შეიტანეს პრეზიდენტმა ნიქსონმა და პრეზიდენტმა ფორდმა, და ახლანდელმა ადმინისტრაციამ საკმარისია მხოლოდ შესაბამისი მიმართვა გაუგზავნოს კანონდებლებს და დაანჩაროს ეს პროცესი. მაგრამ თვითონ სახლი, პირიქით, აფერხებს დოკუმენტების რატიფიკაციას იმის საბაბით, თითქოს ძნელი იყოს მათი შესრულების შემოწმება. მაგრამ, ხაზს უსვამს ჩ. მეტაიესი, ადმინისტრაციაში აქამდე ვერავინ წარმოადგინა რაიმე დამაჯერებელი დოკუმენტი, რომელიც მოწმობს, რომ ხელშეკრულებათა დებულებანი საჭიროებს რაიმე დადასინჯვას. ეტყობა, პრობლემა „შემოწმება“ კი არ არის, არამედ ის, რომ ადმინისტრაციას ამის სურვილი არა აქვს.

ბირთვული იარაღის მიწისქვეშა გამოცდის შეზღუდვისა და მშვიდობიანი მიზნით მიწისქვეშა ბირთვულ აფეთქებათა შესახებ ხელშეკრულებათა რატიფიკაცია აუცილებელია, წერს სენატორი, რადგანაც იგი ხელს შეუწყობს საერთაშორისო ურთიერთობის განმტკიცებას და ბირთვული შეიარაღებისადმი კონტროლის გაადვილებას. ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის საერთო მეცადინეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდება.

● ᲐᲕᲚᲐᲜᲔᲗᲘ

რევოლუციის მონაპოვართა სადარაჯოზე

ქაბული. პაქტიის პროვინციაში გაიმართა მასობრივი მიტინგი სამოქალაქო თავდაცვის რაზმებში ქარამის მაზრის ათასზე მეტი გლეხის შესვლის გამო. სხვადასხვა ტომის წარმომადგენლებმა, რომლებიც რაზმებში მოხალისედ შევიდნენ, განაცხადეს, რომ მზად არიან ფხიზლად დაიცვან აპრილის რევოლუციის მონაპოვარი.

ყველგან შექმნილი სამოქალაქო თავდაცვის რაზმები ახალგაზრდა რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებს ეფექტიან დახმარებას უწევენ საერთაშორისო რეაქციისა და იმპერიალიზმის ხრიკების მოგერიებაში, რომლებიც ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოუცხადებელ ომს აწარმოებენ. მოხალისენი იარაღით ხელში ფხიზლად დგანან ავღანელი მოქალაქეების მშვიდობიანი შრომის დაცვის ვახტზე, სამრეწველო საწარმოებში, სახელმწიფო დაწესებულებებში.

● გდრ

ᲥᲕᲔᲧᲜᲐᲓ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲓ

ბერლინი. საბჭოთა კავშირის სამშვიდობო წინადადებები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ი. ვ. ანდროპოვმა წამოაყენა, ნაკარნახევია წინდახედულებით, ხალხთა სიცოცხლისა და უშიშროებისათვის პასუხისმგებლობის ღრმა გრძნობით, განაცხადა 28 თებერვალს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარემ გ. დრეფალმა.

ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობის საბჭოს პლენარული სხდომაზე გამოსვლისას მან ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივების მიზანია შეიზღუდოს და შემცირდეს ევროპაში სტრატეგიული შეიარაღება, აგრეთვე საშუალო სიშორის ბირთვული იარაღი. ეს ინიციატივები ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პრაღის პოლიტიკურ დეკლარაციასთან ერთად ქმნიან ომისა და მშვიდობის ყველაზე აქტუალური საკითხების გადაწყვეტის რეალურ, საყოველთაოდ მისაღებ პროგრამას.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ეს პოზიცია შეესაბამება ყველა ხალხის სურვილსა და მისწრაფებებს. იგი კვლავ ცხადყოფს, რომ სოციალიზმის ქვეყნებისათვის არა არის რა იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე მშვიდობის შენარჩუნება.

ორატორმა აღნიშნა აგრეთვე ის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოების კონსტრუქციულ პასუხს შეეცის მაკარობის წინადადებაზე ევროპაში ბრძოლის ველის ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის თაობაზე.

ომისა და ბირთვული კატასტროფის წინააღმდეგ, მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლას გადამწყვეტი სტადია დაუდგა. სოციალიზმის ქვეყნები აყენებენ ახალ-ახალ წინადადებებს მშვიდობისა და განიარაღების უზრუნველყოფის მიზნით. ხოლო იმპერიალიზმის ძალები და, უწინარეს ყოვლისა, „შეერთებული შტატები ამას უპასუხებენ გამალებული შეიარაღების განგრძობით, გლობალური კონფრონტაციით, ანტიკომუნისტური „ჯვაროსნული ლაშქრობისათვის“ მოწოდებებით.

გ. დრეფალმა აღნიშნა აგრეთვე, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ძლიერდება მასობრივი მოძრაობა გამალებული ბირთვული შეიარაღების წინააღმდეგ. მშვიდობისათვის, ბირთვული კატასტროფის წინააღმდეგ, დასავლეთ ევროპაში საშუალო სიშორის ამერიკული ბირთვული იარაღის განლაგების წინააღმდეგ მასობრივი მოძრაობა საერთაშორისო პოლიტიკის ახალი მოვლენა გახდა.

ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ

ჟენევა. აქ გამართულ განიარაღების კომიტეტის სხდომაზე 28 თებერვალს სიტყვა წარმოთქვა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა დ. ერდემბილეგმა, რომელიც კომიტეტის თებერვლის სესიის თავმჯდომარეა. მან ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა გადაიჭრას „დღევანდელობის ყველაზე აქტუალური პრობლემა — ბირთვული ომის თავიდან აცილების, გამალებული ბირთვული შეიარაღების ალაგმვისა და ბირთვული განიარაღების პრობლემა“. 1983 წელი, როგორც ეს ბევრი ქვეყნის დელეგაციებმა აღნიშნეს განიარაღების კომიტეტში, ყველაზე პასუხსაგები წელია განიარაღების უაღრესად აქტუალური პრობლემების გადაჭრის საქმეში, თქვა მან. შემთხვევითი როდია, რომ მრავალმხრივი მოლაპარაკების ფორუმის — განიარაღების კომიტეტის მუშაობა იპყრობს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას, რომელიც მოელის მის წინაშე მდგომი ამოცანების უსწრაფესსა და პოზიტიურ გადაწყვეტას.

ორატორმა დასავლეთის საბჭოელმწიფოთა დელეგაციებს მოუწოდა გამოიჩინონ პოლიტიკური სიმტკიცე და თანამშრომლობის ორატორმა აღნიშნა აგრეთვე ის დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოების კონსტრუქციულ პასუხს შეეცის მაკარობის წინადადებაზე ევროპაში ბრძოლის ველის ბირთვული იარაღისაგან თავისუფალი ზონის შექმნის თაობაზე.

ომისა და ბირთვული კატასტროფის წინააღმდეგ, მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლას გადამწყვეტი სტადია დაუდგა. სოციალიზმის ქვეყნები აყენებენ ახალ-ახალ წინადადებებს მშვიდობისა და განიარაღების უზრუნველყოფის მიზნით. ხოლო იმპერიალიზმის ძალები და, უწინარეს ყოვლისა, „შეერთებული შტატები ამას უპასუხებენ გამალებული შეიარაღების განგრძობით, გლობალური კონფრონტაციით, ანტიკომუნისტური „ჯვაროსნული ლაშქრობისათვის“ მოწოდებებით.

● ᲞᲐᲙᲘᲡᲢᲐᲜᲘ

ᲑᲘᲠᲗᲕᲣᲚᲘ ᲐᲛᲒᲘᲪᲘᲛᲔᲑᲘ

დელი. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ პაკისტანი ცდილობს ხელში ჩაიგდოს ბირთვული იარაღი. ლონდონის გაზეთ „ფაინენშლ ტაიმსისადმი“ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ინდოეთს არ ეშინია შეშფოთების საფუძველი, თუ პაკისტანი ბირთვულ ობიექტებს მშვიდობიანი მიზნებისათვის აარებენს. მაგრამ, ხაზი გაუსვა ინდოეთის მთავრობის მეთაურმა, არა მგონია რომ პაკისტანის ხელისუფლებს ბირთვული ობიექტების მშვიდობიანი მიზნით გამოყენება ჰქონდეთ განზრახული.

ინდოეთის პრესა ადრევე იუწყებოდა, რომ ისლამაბადი გაფაციცებით ცდილობს შექმნას საკუთარი ბირთვული იარაღი. გაზეთი „ინდიან ექსპრესი“ იმოწმებდა ავტორიტეტულ წყაროებს და წერდა, რომ ყარაჩის ბირთვულ რეაქტორში უკვე გამოშვებულია დაახლოებით 20 კილოგრამი ხალასი პლუტონიუმი — ბირთვული იარაღის დამზადების ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი. ყარაჩის ბირთვული რეაქტორი კარგა ხანია იპყრობს ატომური ენერგიის საერთაშორისო საადგილმამავლო ორგანიზაციის ყურადღებას, რომლებიც გამოთქვამენ აზრს, რომ იგი გამოიყენება ატომური ბომბის შესაქმნელად საჭირო ხლეჩადი მასალების წარმოებისათვის. მაგრამ პაკისტანის სამხედრო რეჟიმი კატეგორიულ უარს აცხადებს შეაჩერებინოს საადგილმამავლო სპეციალისტებს ეს დანადგარი.

გაზეთი „ინდიან ექსპრესი“ მიაპყრობს იმას, რომ ერთდროულად პაკისტანში მთავრდება ჩაშმისა და კახუტის ბირთვული კომპლექსების მშენებლობა. ისინი განკუთვნილია ბირთვული საბრძოლო ნარჩენების გადამუშავებისა. ურანის გადიდებისა და ამრიგად, ატომური იარაღის მასალების მისაღებად, აღნიშნავს გაზეთი.

ადგილობრივი მიმომხილველნი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისლამაბადის ბირთვული ამბიციების რეალიზაცია შესაძლებელი გახდა დასავლეთის სახელმწიფოთა წაყრუების წყალობით. შეერთებულ შტატებში მომზადება გაიარა 100-ზე მეტმა პაკისტანელმა ატომისტმა ფიზიკოსმა, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატებისა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ცრუმაგიერი ფირმების შემწეობით ზია-ულ-ჰაკის რეჟიმმა შეძლო ხელში ჩაიგდო ატომური მრეწველობისათვის საჭირო ტექნოლოგია და სხვადასხვა მოწყობილობა.

● ᲡᲐᲚᲕᲐᲓᲝᲠᲘ

ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲐᲜᲘ

მადრიდი. ეფეს სააგენტოს ცნობით, სალვადორში გრძელდება გაფფრებული ბრძოლები პატრიოტულ ძალებსა და დიქტატორის რეჟიმის არმიას შორის. თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების მინისტრმა გილერმო გარსიამ, აღნიშნავს სააგენტო, აღიარა, რომ ინიციატივა ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის ხელშია. მან თქვა, რომ ამჟამად ბრძოლები მ

წინამძღოლის საამაყო ხვედრი

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲚᲔᲕᲐᲜ ᲛᲐᲠᲣᲨᲐᲕᲘᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 70 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘᲐ ადამიანი, რომელიც ცხოვრების ხანგრძლივ გზას ნაყოფიერად გაიარეს, მით უმეტეს, თუ ამ გზაზე მას მეცნიერული შემოქმედების მძიმე და საპატიო ტვირთი უტარებია. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი ლევან მარუაშვილი.

ღვაწლმოსილი ტოპოგრაფისა და გეოდეზისტის იოსებ მარუაშვილის ოჯახში აღზრდილი ყმაწვილი ხშირად ახლდა ხოლმე თან მამას ექსპედიციებში, იხიბლებოდა საქართველოს ბუნების სდიადითა და სილამაზით. ამ მოგზაურობებმა განაპირობა კიდეც მისი არჩევანი. ნიჭიერ ახალგაზრდას ჯერ საუნივერსიტეტო გეოგრაფიული განათლებაც კი არ ჰქონდა მიღებული, რომ უკვე აქვეყნებდა გეოგრაფიულ ნარკვევებს, რომლებითაც იმდროინდელ გეოგრაფთა და მკითხველთა ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება დაიმსახურა. ლ. მარუაშვილმა სტუდენტობის წლებში 15 მეცნიერული ნაშრომი გამოაქვეყნა, მათ შორის „მარკო პოლო და სვენ ჰედინი“, „კავკასიონის რელიეფის ზონალობა“, „ყელის ლავური პლატო“, „კავკასიის გამყინვარება“, „თუშეთი (გეოგრაფიული მიმოხილვა)“ და სხვა. ნაშრომთა ამ ციკლმა ახალგაზრდა, დამწყებ მეცნიერს პერსპექტიული მკვლევარი გეოგრაფის სახელი მოუნეიჭა. უნივერსიტეტის დამთავრების წელსვე გაგზავნეს საველე დაკვირვებების საფუძველზე, ყარაყუ ამ ოლქის მორფოგენეზის ცალმხრივი „ვულკანური“ გაგება და დაადგინა მასში ნეოტექტონიკური პროცესების მნიშვნელოვანი როლი. მონოგრაფიაში პირველად არის წარმოდგენილი საქართველოს სამხრეთ მთიანეთის სრული, მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული პალეოგეოგრაფიული სურათი და რელიეფის განვითარების ისტორია. ნაშრომი საბჭოთა გეომორფოლოგიური მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია. მან დიდი როლი შეასრულა საქართველოსა და ამიერკავკასიის გეომორფოლოგიური და მეოთხეულის ვულკანური მოვლენების შესწავლაში.

ლ. მარუაშვილის გეომორფოლოგიურ გამოკვლევათა ციკლის ჭეშმარიტი გვირგვინია ფართოდ ცნობილი კოლექტიური მონოგრაფია „საქართველოს გეომორფოლოგია (საქართველოს სსრ რელიეფი მისი პლასტიკის, წარმოშობის, დინამიკისა და ისტორიის თვალსაზრისით)“, ამ კოლექტიური სქელტანიანი ნაშრომის სულის ჩამდგმელი, მეთოდიკური ხელმძღვანელი, ძირითადი ავტორი და რედაქტორი, რომელმაც ერთ მონოლითად შეკრა იგი, ლევან მარუაშვილია. მონოგრაფიამ გეომორფოლოგიური ნაშრომების აღწერილობით უზრუნველყოფის მხრივ საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი მიანიჭა, ხოლო თვით ლ. მარუაშვილი 1972 წელს დიდი ღვაწლისათვის საბჭოთა კავშირის გეოგრაფთა საზოგადოებამ ნ. პრეჟევალსკის სახელობის ოქროს მედლით დაჯილდოვა.

ფასდაუდებელია ლ. მარუაშვილის დამსახურება საქართველოს პალეოგეოგრაფიის შესწავლაში და, საერთოდ, პალეოგეოგრაფიაში. მეცნიერმა კრიტიკულად მიმოიხილა არსებული შეხედულებანი კავკასიონის მთათა სისტემის ძველ გამყინვარებათა თაობაზე, უარყო ევროპული პალეოგეოგრაფიული იდეების პირდაპირი გადმოტანის შედეგად შექმნილი ძველი გამყინვარების სქემები და წამოაყენა დებულებანი კავკასიაში ალპებთან შედარებით მეოთხეული მყინვარების ნაკლები გეოგრაფიული და ჰიფსომეტრიული გავრცელების შესახებ.

ლ. მარუაშვილს დიდი ღვაწლი მიუძღვის კომპლექსური ფიზიკური გეოგრაფიის განვითარებაში. სწორედ მის მადლიან კალამს ეკუთვნის სქელტანიანი წიგნი „საქართველოს გეოგრაფია“. იგი გამოვიდა როგორც უმაღლესი სკოლების გეოგრაფიის სახელმძღვანელო, მაგრამ თავისი ორიგინალობით, ფაქტობრივი მასალის სიუხვით, ლანდშაფტების დიფერენციაციის საკუთარი სქემით და სხვა თვისებებით უფრო მეცნიერული მონოგრაფიაა და მას გვერდს ვერ აუვლის ვერავინ. ვინც საქართველოს ბუნების კვლევით არ, ის დაინტერესებული.

სულ ცოტა ხნის წინათ ლ. მარუაშვილმა გამოაქვეყნა „კავკასიის ფიზიკური გეოგრაფიის“ ორი ტომი, დასასტამბად მზად არის მესამე ტომიც. ეს მეცნიერული ტრიპტიქი დაფუძნებულია მდიდარი ლიტერატურის ანალიზზე, ავტორის ხანგრძლივ და სისტემატურ გამოკვლევათა შედეგებზე, თავისი მეცნიერული სიზუსტით, სისრულითა და გადმოცემის ლაკონიურობით სამტომეული გაცილებით უფრო ღირსშესანიშნავია, ვიდრე ამ რეგიონის შესახებ მანამდე გამოქვეყნებული შრომები.

ქართველმა მეცნიერმა მრავალწლიანი, მართლაც თავდადებული შრომის მეოხებით საბჭოთა კავშირში პირველმა შექმნა დიდი მოცულობის „პალეოგეოგრაფიული ლექსიკონი“ რუსულ ენაზე, რომელიც მალე გამოქვეყნდება მოსკოვში.

პროფესორი ლ. მარუაშვილი სამართლიანად ითვლება კარსტოლოგიისა და სპელეოლოგიის ერთ-ერთ პიონერად ჩვენს რესპუბლიკაში. მის მრავალ შრომაში საინტერესოდ და ორიგინალურად გაშუქდა საქართველოს კარსტული მღვიმეების მორფოლოგია, მათი წარმოშობის ისტორია. მან საბჭოთა კავშირში პირველმა შეისწავლა ნეოგენური კონგლომერატების კარსტი და გამოაყო იგი კლასტოკარსტის სახელით.

ლ. მარუაშვილის ბიოგრაფიას ამშვენებს ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომა, რომლის მიზანიც გეოგრაფიული აზროვნების ისტორიაში ქართველ მეცნიერთა და მოგზაურთა როლის გაშუქება გახლავთ. მეცნიერის კალამს ეკუთვნის გამოკვლევები ვახუშტი ბაგრატიონის, რაფიელ დანიბეგაშვილის, იონა გედევანიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის, გაბრიელ გელოვანის, ტიმოთე გაბაშვილისა და სხვათა მოგზაურობასა და გეოგრაფიულ მოღვაწეობაზე.

ღვაწლმოსილი პროფესორი ვეტერანი ალპინისტია, იგი ქართველ მთამსვლელთა იმ სახელოვან პლეადას ეკუთვნის, რომელიც ალიოშა ჯაფარიძესთან ერთად საფუძველს უყრიდა და ავითარებდა ქართულ საბჭოთა ალპინიზმს. თავისი ალპინისტური მოღვაწეობის შედეგები მან მიმდინარეობად აღწერა წიგნში „10 წელი მწვერვალთა ჰიპნოზის ქვეშ“, ხოლო სპელეოლოგიური — წიგნში „შუქი ბნელეთში“.

პროფესორ ლევან მარუაშვილის სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ეს მეტად მოკლე მიმოხილვაც კი წარმოგვიჩენს მას, როგორც თვალსაჩინო, დიდად ერუდირებულ გეოგრაფს, მეცნიერს, რომელიც მეცნიერული ინტერესების ფართო დიაპაზონით და სამაგალითო შრომისმოყვარეობით გამოირჩევა. ყოველივე ეს კი იმის საწინდარია, რომ სწავლული მომავალშიც ნაყოფიერად იშრომებს, კვლავაც ძვირფასი შემართებით უხელმძღვანელებს ქართული გეოგრაფიის მეცნიერების არაერთ მამართულებას.

თ. კიკნაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი.

დ. უკლება,
გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, ინსტიტუტის ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი;

3. ჯაოშვილი,
გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ინსტიტუტის ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს გეოგრაფთა საზოგადოების პრეზიდენტი.

„საქართველო-60“

ᲑᲐᲖᲗᲝᲗ „კომუნისტის“ საკავშირო კონკურსი ეტიუდების შედგენაში, რომელიც საქართველოს კომპარტიისა და საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავს მიეძღვნა, რიული და საინტერესო შეჯიბრება გამოდგა. მასში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა ცნობილი კომპოზიტორი, ხოლო გამოგზავნილი ნაწარმოებების საერთო რაოდენობამ 150-ს მიაღწია. მასალები შემოვიდა მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, აგრეთვე თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან. კონკურენტი-კომპოზიციების საერთო დონე მაღალი აღმოჩნდა, რაც ტრადიციულად ახასიათებს ჩვენში გამართულ კონკურსებს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საქართველოს ეტიუდისტების ღირსეული გამოსვლა ამ საიუბილეო და პრესტიჟულ შეჯიბრებაში. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანის ნაწარმოები არ იქნა შეფასებული დასანანი ხარვეზების გამო, მთლიანად, ქართული საეტიუდო ხელოვნების წარმატება აშკარაა. ექვსი პრიზიდან სამი ჩვენს თანამემამულეს (დიდოსტატი გია ნადარეიშვილი, ოსტატები დავით გურგენიძე და ვალერიმ კალანდაძე) ხვდა წილად, რაც უდავოდ მეტყველებს მათს დიდ სპორტულ-შემოქმედებითს პოტენციალზე.

იმედია, „კომუნისტის“ მეორე საკავშირო კონკურსი (პირველი 1973 წელს გაიმართა) ხელს შეუწყობს საჯადრაკო პოეზიის შემდგომ განვითარებას და ახალ საინტერესო ფურცელს ჩაწერს ეტიუდის ისტორიაში.

მკითხველს ვთავაზობთ შედეგებს, რომლებიც შეაჯამა კონკურსის ფიურომ საერთაშორისო არბიტრის ᲕᲐᲪᲐ ᲜᲘᲫᲘᲡᲐ და საკავშირო კატეგორიის მხაჯის ᲠᲝᲛᲐᲜ ᲗᲐᲕᲐᲠᲘᲜᲘᲡ (ორივე ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) შემადგენლობით.

საბოლოო შედეგები შეჯამდება შენიშვნების გათვალისწინებით და ძალაში შევა ორი თვის შემდეგ.

I ᲞᲠᲘᲖᲘ

გ. ნადარეიშვილი (თბილისი). 1. ᲛᲤ5+! (1. ეხ1? Ფ1Ც+! 2. მფ:Ფ1 მდ2+-ის შემდეგ მიიღება საინტერესო მცდარი კვლები, სადაც თეთრები აგებენ) 1... მფᲔ6 2. ეხ1 Ფ1Ც+! 3. ე:Ფ1 მᲪ1+ 4. მფᲓ2 ხ1Ც 5. მდ4+ (შავებს რომ 1... მფᲖ6 ეთამაშთან, ახლა ყაიმი იყო 5. მᲔ3+-ის შემდეგ!) მფᲓ5 (5... მფᲔ5 6. მᲪ6+! მფᲔ4 7. ეᲔ1+=) 6. მᲪ2! საინტერესო მომენტი — მხედარი დაბმულია, ლაზიერი კი— „მიჯაჭვული“. 6... მხ3+ 7. მფᲪ3!! — ორთაბრძოლის კულმინაცია! ლაზიერს გასაქცევი გზა არა აქვს და ახლა მას მხედარი შეელის



ᲛᲝᲒᲔᲒᲔᲑᲐ

მთავრდება. ავტორმა მდიდარი ფანტაზიის და დახვეწილი ტექნიკის წყალობით უჩვეულო მინიატურა შექმნა.

III ᲞᲠᲘᲖᲘ

ხ. ვაროვი (ერევანი). 1. ეᲔ1 ᲤᲮ1! 2. ᲪᲒ7+ ᲔᲖ 3. ე:ᲔᲖ ᲚᲒ8 4. ᲪᲮ ᲚᲤ8! (4... ლᲤ7 5. ᲪᲰ8!) 5. ᲒᲮ+ (1... ᲪᲰ5-ის შემთხვევაში ახლა თეთრები ითამაშებდნენ 5. ეᲔ6+! მფᲓ5 6. ეᲔ5+ მფᲪ6 7. ე:Ჰ5! ლ:Ფ6 8. ე:ა5=) 6. ეᲔ5+ 7. ᲒᲮ4 7. ეᲔ7! ლᲔ8 (7... ლᲰ8 8. ᲪᲰ4!) 8. ᲪᲓ6. შეიქმნა ახალი ბატარეა ლაზიერის მოგების იმავე მუქარით. 8... ლᲓ8! (8... ლᲪ7 9. ᲪᲰ8!) 9. ᲪᲓ5+ 10. ᲔᲖ5+ 11. ᲪᲔ7! ᲚᲔ8 (11... ლᲰ8 12. ᲪᲐ3!) 12. ᲪᲤ6 და ყაიმი, ვინაიდან ყველაფერი თავიდან იწყება. მწვავე ორთაბრძოლის პირობებში მოქ-



ᲧᲐᲘᲛᲘ

მედი მუდმივი ბატარეის მექანიზმი გარკვეული სიახლის შთაბეჭდილებას ტოვებს. ბედნიერი მიგნება, რამაც ნაკლებად ცნობილ ეტიუდისტს წარმატება მოუტანა.



ᲧᲐᲘᲛᲘ

7... მᲪ1, მაგრამ 8. მფᲓ2 და ორიგინალური პოზიციური ყაიმია, რადგან თეთრები მუდმივად ხან ერთი, ხან მეორე ფიგურის მოკვლით იმუქრებიან. ამოხსნა პირველი სვლდანვე დაძაბულად ვითარდება და საუცხოო დინამიკური დასასრული აქვს. უნაკლო, დიდოსტატური კლასის ლამაზი ქმნილებაა, რომელიც აშკარად სჯობს დანარჩენ ეტიუდებს.

II ᲞᲠᲘᲖᲘ

დ. გურგენიძე (ს. ჩაილური, საგარეჯოს რ.). 1. ᲛᲤ5+! მფᲒ6 2. ᲓᲪᲒ Ბ1Ც. დაფაზე ძალთა ახალი თანაფარდობა შეიქმნა და თეთრებმა უკვე ლაზიერის მოგებისათვის უნდა იზრუნონ. 3. ᲚᲒ8+ მფᲤ6! 4. ᲚᲒ7+ მფᲔ6 5. ᲚᲔ7+ მფᲓ5 6. ᲚᲓ6+ მფᲪ4 (6... მფᲔ4 7. მᲒ3+ მფᲔ3 8. მᲤ1+) 7. მᲔ8+ მფᲪ3 8. ᲚᲪ5+ მფᲰ3 (8... მფᲓ2 9. მᲪ4+ მფᲓ1 10. ᲚᲒ1+) 9. ᲚᲰ5+ მფᲐ2 10. ᲚᲐ4+ მფᲰ2 11. მᲓ1×Ლ მეფის დევნა, რასაც ლაზიერის მოგების მუქარა უდევს ლიტმოტივად, ლამაზი სანიმუშო შამათით

ᲧᲐᲘᲛᲘ

ᲛᲤ5+! (1. ეხ1? ᲤᲮ1Ც+! 2. მფ:ᲤᲮ1 მდ2+-ის შემდეგ მიიღება საინტერესო მცდარი კვლები, სადაც თეთრები აგებენ) 1... მფᲔ6 2. ეხ1 ᲤᲮ1Ც+! 3. ე:ᲤᲮ1 მᲪ1+ 4. მფᲓ2 ხ1Ც 5. მდ4+ (შავებს რომ 1... მფᲖ6 ეთამაშთან, ახლა ყაიმი იყო 5. მᲔ3+-ის შემდეგ!) მფᲓ5 (5... მფᲔ5 6. მᲪ6+! მფᲔ4 7. ეᲔ1+=) 6. მᲪ2! საინტერესო მომენტი — მხედარი დაბმულია, ლაზიერი კი— „მიჯაჭვული“. 6... მხ3+ 7. მფᲪ3!! — ორთაბრძოლის კულმინაცია! ლაზიერს გასაქცევი გზა არა აქვს და ახლა მას მხედარი შეელის



ᲧᲐᲘᲛᲘ

7... მᲪ1, მაგრამ 8. მფᲓ2 და ორიგინალური პოზიციური ყაიმია, რადგან თეთრები მუდმივად ხან ერთი, ხან მეორე ფიგურის მოკვლით იმუქრებიან. ამოხსნა პირველი სვლდანვე დაძაბულად ვითარდება და საუცხოო დინამიკური დასასრული აქვს. უნაკლო, დიდოსტატური კლასის ლამაზი ქმნილებაა, რომელიც აშკარად სჯობს დანარჩენ ეტიუდებს.

II ᲞᲠᲘᲖᲘ

დ. გურგენიძე (ს. ჩაილური, საგარეჯოს რ.). 1. ᲛᲤ5+! მფᲒ6 2. ᲓᲪᲒ Ბ1Ც. დაფაზე ძალთა ახალი თანაფარდობა შეიქმნა და თეთრებმა უკვე ლაზიერის მოგებისათვის უნდა იზრუნონ. 3. ᲚᲒ8+ მფᲤ6! 4. ᲚᲒ7+ მფᲔ6 5. ᲚᲔ7+ მფᲓ5 6. ᲚᲓ6+ მფᲪ4 (6... მფᲔ4 7. მᲒ3+ მფᲔ3 8. მᲤ1+) 7. მᲔ8+ მფᲪ3 8. ᲚᲪ5+ მფᲰ3 (8... მფᲓ2 9. მᲪ4+ მფᲓ1 10. ᲚᲒ1+) 9. ᲚᲰ5+ მფᲐ2 10. ᲚᲐ4+ მფᲰ2 11. მᲓ1×Ლ მეფის დევნა, რასაც ლაზიერის მოგების მუქარა უდევს ლიტმოტივად, ლამაზი სანიმუშო შამათით